# ტალღა


ცალკე ნომერი 5 კაპ.

თ ფ ი ლ ი ს ი

კვირა, 19 (2) ნოემბერი.

1906

წელიწადი პირველი

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან. ექვსი თვით 4 მან. ერთი თვით ქალაქში 70 კ. ქალაქ გარეთ 80 კ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა სუფთათ იყოს გადაწერილი. დაუბეჭდავი სტატიები და ვრცელი წერილები ინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში.

დაუბეჭდავი კორესპონდენციები და წვრილი წერლები რედაქციაში არ ინახებიან და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს. წერილობით პასუხისათვის საჭიროა 7 კ. მარკა.

დაუბეჭდავ წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმე დღეობით დილის 11—12 საათამდე.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კაპ. მეოთხე გვერდზე 10 კ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, რედაქცია „ტალღა".

№ 28 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 28



ამ ნომერთან იგზავნება „რუსულ-ამერიკულ რეზინის ამხანაგობის" განცხადება.

0 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა"

ხელის-მოწერა მიიღება **რედაქციის კანტორაში**—მიხაილოვის ქუჩაზე სახლი № 65, სადაც „შრომის" სტამბაა. დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე და წიგნის მაღაზია „ობრაზოვანიე"-ში მიხ. ქუჩაზე.

**გაზეთის ფასი**: ერთი თვით—ქალაქში 70 კ., პროვინციაში—80 კ.

15 ნოემბრიდან წლის დამლევამდე 1 მანეთი. ქალაქ გარეთ 1 მ. 30 კ.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА".


„ტალღის" რედაქცია სთხოვს საზოგადოებათ და დაწესებულებებს აგზავნონ ხოლმე რედაქციაში უწყებები თავიანთ სხდომებზე და კრებებზე დასასწრებლათ.

## ხელის-მომწერთა საყურადღებოთ

რადგან რედაქცია დაკეტილია და ყოველივე საანგარიშო დავთრები და საბუთები კანტორის შუაა მოყოლილი, რედაქციას არა აქვს საშუალება აღადგინოს ხელის-მომწერთა სია და მით შესძლოს რეგულიარული და სწორი დაგზავნა გაზეთის. ამიტომ უმორჩილესად სთხოვს რედაქცია ქალაქის ყველა ხელის-მომწერლებს, დახმარება აღმოუჩინონ რედაქციას სიის შედგენაში და გაზეთის დამტარებლების შემწეობით გამოგზავნონ გამოწერილი გაზეთის კვიტანციები.

ხელის-მომწერლები დამტარებლებისაგან მიიღებენ ახალ ხელმოწერილ კვიტანციებს რედაქციის ბეჭედით. სიის აღდგენის შემდეგ ძველ კვიტანციებს ისევ უკან დააბრუნებს რედაქცია.


კვირას, 12 ნოემბერს, 12 საათზე ტფილისში გაიხსნა

(ავათმყოფთა მიღება 13 ნოემბრიდან დაიწყება)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის

დიდვანქის ქუჩა სახლი № 5.

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ტელეფონი № 481.

ავათმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

ექ. ტ. ი. რუდენკო—შინაგანი სნეულებანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი—ქირურგ. სნეულებ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

ექ. მ. ი. იაჩნევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

ექ. ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშაბ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

ექ. ნ. მ. ასკიროვი—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

ექ. ვ. ზ. ბოქოვსკი—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

ექ. ა. ნ. თითრაძე—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

ექ. ვ. ი. ინაევი—შინაგანი, ყოველ დღე 1—2 პარასკეობით 3—4 ს.

ექ. ა. ა. მონსე.—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

ექ. ა. ტ. როზმაისკი—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

ექ. ნ. ი. ნეუმინი—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12.

ექ. ა. ა. ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

ექ. ზ. ფ. ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

ექ. ქ. მ. პივარსკი

ექ. ქ. ი. ჩუდნოვსკი კლინიკური ანალიზი.

ექ. გ. ი. ონოგკო—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12, ნიკოლოზის ქ. № 14.

✦ დ ი ლ ი ს ✦

ქართული წარმოდგენა

სახაზინო თეატრში

კვირას, 19 ნოემბერს, დილით, ქართული დრამატ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სახალხო **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა

## მ უ ზ მ უ ზ ე ლ ა

კომედია 5 მოქმედ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჩაბელისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

|||| ადგილების ფასი დაკლებულია ||||

დასაწყისი ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: „ბანაკში", „ექიმი აშირბაჯიანი", „ლევან ეგოიძე", „ებრაელები", „ივან მირონიჩი".

რეჟისორი ვ. აბაშიძე

გამგე ვალერ. გუნია.

ავლაბრის თეატრი

დილის წარმოდგენა

კვირას, 19 ნოემბერს, თფილისის დრამატიულ დასის ახალ-გაზრდა არტისტების ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## დამნაშავეა

დრამა 3 მოქ., თარ. ა. ნიკიტინისა.

II

## დივერტისმენტი

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი **დილის** თორმეტნახევარ საათზე.

ამხანაგობის გამგე **ი. ივანიძე.**

ამხანაგების ✦✦

## ✦✦ საყურადღებოთ

გაცხადებ, რომ **ჩოხატაურში** დათოსა მგელიშვილის დუქანში იყიდება გაზ. „ტალღა". ვინც ყოველ-დღიურათ წაიღებს გაზეთს და წინდაწინ წარმოადგენს ერთ მანეთს, ნომერი **დაეთმობა 4 კაპიკათ.**

აგენტი ნ. დ. მეგრელიშვილი

(3—2)

თფილისის ქალაქის

## გამგეობას

პატივი აქვს აცნობოს ყველა სახლის პატრონებს და ქონებათა მოიჯარადრეებს, რომ წყლის საზომების გასინჯვა და კანტროლი ყოველ დროს დაუბრკოლებლივ უნდა შეიძლებოდეს; წყლის საზომის კლიტე უნდა ინახებოდეს იმავე სახლში და გადაეცეს აგენტს ყოველ დღე, როცა საჭიროება მოითხოვს. წყლის საზომები თავისუფალი უნდა იყოს ყოველივე მასალისა და საგნებისაგან და თანაც მოთავსებული ისეთ ადგილას, რომ ადვილათ შეიძლებოდეს მათი გასინჯვა; წყლის საზომები აგრეთვე მოშორებით უნდა იყვნენ კლოზეტებისა და ისეთი საწყობებისაგან, სადაც ინახება ადვილათ დასაწვავი მასალა. ქალაქის გამგეობა საჭიროთ სთვლის გააფრთხილოს სახლის პატრონები და მოიჯარადრეები, რომ თუ წყლის საზომის გასინჯვა დაბრკოლებული იქნა, იძულებული გახდება შეწყვიტოს წყლის ძლევა.

## კომისია მაკაროვის ადგილის

ამით ატყობს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩაწერილები არიან და ბეებიც აქვთ მიცემული ხუთ-ხუთი მანეთი, მაკაროვისაგან ადგილების სასყიდლათ, მოვიდენ და ჩაიბარონ თავიანთი ნაწილი **კვირას, 19 ნოემბერს** დილის 8 საათზე. ნებართვა მთავრობისაგან აღებულია. ვთხოვთ არავინ დააკლდეს. ადრესი: 1 უბანი, ზემელის აფთიაქის პირდაპირ ცინცაძის შუშის საწყობში, საიდანაც წავალთ ხსენებულ ადგილას.

გამოვიდა გასაყიდათ „სახალხო" ჯიბის კალენდარი, შედგენილი კ. თავართქილაძისა. აგრეთვე იბეჭდება და მალე გამოვა „საყოველთაო" ჯიბის კალენდარი ფასი 20 კ. და კედლის კალენდარი ფასი 40 კ. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ კ. თავართქილაძის სტამბაში, ქ. თფილისში. სემენოვის ქ. № 4, ვორონცოვის ძეგლის ახლო.


### სენატის განმარტებანი და ბურჟუაზიული პარტიები

ხულიგანური დუმის მოწვევა—აი რას ელტვის მეფის მთავრობა. ამიტომაც იყო მან საარჩევნო უფლებები წაართვა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატს და შეუზღუდა გლეხ-კაცობას და მით დუმას რევოლიუციონური ელემენტი ჩამოაშორა. მთავრობის განზრახვათა განმახორციელებელი სენატი გამოდგა; მან თავისი „განმარტებებით" ძველი, ისედაც კუდ-მოკვეცილი საარჩევნო კანონი უარყო და ახალი დააკანონა.

რანაირი თვალით შეხედა ამას ბურჟუაზიამ? როგორ ხსნიან და გაყავთ ის ცხოვრებაში ბურჟუაზიულ პარტიებს საზოგადოთ და ჩვენში კერძოთ „დაშნაკციუთიუნსა" და ფედერალისტებს?

ბურჟუაზია თვითმპყრობელი ბიუროკრატიის ნაცვლათ თვით ესწრაფვის გაბატონებას. ამიტომაც ის დემოკრატიას ეპოტინება. ხალხი—აი ვინ ებრძვის მთავრობას, ძირს უთხრის თვითმპყრობელობას და ამყარებს თავისუფლებას. ამიტომაც ბურჟუაზიული პარტიები იძულებული არიან ხალხის მოთხოვნილებები ნებით თუ უნებლიეთ წამოაყენონ და კერძოთ საყოველთაო, თანასწორსა და პირდაპირ საარჩევნო უფლებას მხარი დაუჭირონ. ასეა სიტყვით, ასეთია ზოგი მათგანის პროგრამა. სულ სხვაა საქმით, სულ სხვანაირია მათი მოქმედება. იქ, საცა ხალხი ჯერ კიდევ მოკლებულია კლასიურ შეგნებას მათ მხარს უჭერს, ისინიც საყოველთაო საარჩევნო უფლებას იცავენ. სადაც ხალხს უკვე თვალები გაუხელია და მათ ბურჟუაზიულ ფიზიონომიას ააშკარავებს, ისინიც დემოკრატიულ ნიღაბს აშკარათ იშორებენ და საარჩევნო უფლებათა შეზღუდვის თავგამოდებულ დამცველათ გამოდიან.

ამ მხრივ საინტერესოა „დაშნაკციუთიუნისა" და ფედერალისტების მოქმედება სენატის განმარტებათა გამო.

„დაშნაკციუთიუნი" რომ სომხის ბურჟუაზიის პირმშო შვილი და მის ინტერესთა დამცველია, ეს დღეს ყველასათვის ნათელია. პროლეტარიატი მას უარყოფს, და ისიც უარყოფს პროლეტარიატს. მათ შორის ხიდი სამუდამოთ ჩატეხილია. ხალხი „დაშნაკციუთუნს" მტრობს, მარა ის მაინც ცდილობს ხალხის ძალათ მაცხოვრობა იკისროს და დუმაში თფილისის წარმომადგენლათ მოევლინოს რუსეთს. ამ მიზნის განსახორციელებლათ მისთვის საარჩევნო უფლების ყოველნაირი შეზღუდვა ხელსაყრელია და აი მასაც მხსნელათ სენატი მოევლინა. მან საარჩევნო უფლებები შეუზღუდა ხალხს და ქალაქში სხვათა შორის ბინის დამქირავებელთ. სენატის აზრით ბინის დამქირავებლათ, რომელსაც საარჩევნო ხმა ექნება, ის ჩაითვლება, ვინც ქირაობს ცალკე ოთახს და თან საჭმლის გასაკეთებელი ადგილიც მოეპოვება. ცხადია, თუ ოთახში ან მის გარეთ არის ადგილი, საცა მოსახერხებელია საჭმლის მომზადება, თუნდაც სამზარეულო არ იყოს, ასეთი ბინაც საარჩევნო უფლებას აძლევს დამქირავებელს. ეს არ მოსწონებია „დაშნაკციუთიუნს". მისი აზრით უთუოთ სამზარეულო უნდა ახლდეს თან. ასეთია სენატის „განმარტება" „დაშნაკციუთიუნის" განმარტებით, ამიტომაც არის ის ცდილობს ქალაქის თვითმართველობას კანტროლიორათ მოევლინოს და სოციალდემოკრატიის ხმები გააბათილოს. როგორც ხედავთ „დაშნაკციუთიუნი" იძულებულია პოლიციური როლი იკისროს. ისიც ქალაქის თვითმართველობას ებრძვის, სოციალ-დემოკრატიის მომხრეთ გამოდიხარო.

ყველა ის, ვინც ხალხის უფლებათა შეზღუდვაში ისე არ გამოწაფულა, როგორც „დაშნაკციუთიუნი", მას სოციალდემოკრატი, გონია. ამით ის საჯაროთ აღიარებს, რომ მხოლოდ სოციალდემოკრატია იცავს ხალხის ინტერესს.

„დაშნაკციუთიუნის" როლი დასავლეთ საქართველოში ფედერალისტებმა იკისრეს. ყველას ახსოვს, რომ ფოთის ქალაქის საბჭოში მათ თავიანთი კანდიდატები გაიყვანეს და მით ქალაქი თავის სამფლობელოთ აღიარეს. ამნაირათ ფედერალისტებს ფოთის ბურჟუაზია ემხრობა, მარა ხალხი უარყოფს და გადაჭრით ებრძვის მათ. მათ კარგათ ახსოვს დეკემბრის დღეები, როცა ხალხის ძლევა-მოსილმა მოძრაობამ სოროში თავი ამოაყოფინა. იციან ეს ფედერალისტებმა და კარგათ გრძნობენ, რომ თუ ხალხს საარჩევნო ხმა დაურჩა, ის სოციალ-დემოკრატიას მისცემს მას. ამიტომაც არის, რომ დაფაცურდენ ფედერალისტები. საარჩევნო ხმა მხოლოდ მისია, ვისაც ისეთი ბინა აქვს, სადაც ცალკე სამზარეულოც არის—ღაღადებენ ისინი და რადგან საბჭოში ბატონობენ, კიდეც მოყავთ სისრულეში. ამნაირათ, რაც სენატმა ვერ მოასწრო, მას ფედერალისტები აკეთებენ და ასე, სენატთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ხალხს საარჩევნო უფლებას უსპობენ.

კიდევ უფრო შორს მიდის სოხუმის ქალაქის საბჭო და მისი სულის ჩამდგმელი გმირები—იქაური ფედერალისტები. ამხანაგი იწერება („ტალღა", № 26): „აქ ცალკე ბინა ცალკე სახლათ გადაიქცა, მას სარაია (შეშის საწყობი) მიემატა,—ასე, რომ თუ ვინმე ბინის დამქირავებელს უნდა ხმის შოვნა, მას უნდა ქონდეს ცალკე სახლი ყველაფერი მოწყობილობით და ოთახს უნდა აქირავებდესო". ასეთია სოხუმელი ფედერალისტების მოღვაწეობა.

ამნაირათ, საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე ბურჟუაზიულ პარტიების მისწრაფება და მათი „დემოკრატობა" ხალხის ფართე მასსისთვის აშკარა ხდება.

პროლეტარიატი და გათვითცნობიერებული გლეხკაცობა ამ საარჩევნო ბრძოლის დროს საბოლოოთ ახდის ნიღაბს „დაშნაკციუთიუნსა" და ფედერალისტებს და მათს ბურჟუაზიულ ფიზიონომიას საქვეყნოთ გამოამჟღავნებს.

### სესხის ძებნაში

პირველი დუმის შეკრებამდე, როგორც ვიცით მთავრობამ მთელი ევროპა ჩამოიარა და როგორც იქნა, სესხი იშოვა, სული მოიბრუნა. ფული მთავრობისათვის—ეს ზეთია, რომლის შემწეობით ის თავის მოშლილ მეხანიზმის ამუშავებას ცდილობს.

მაშინ მას თავისუფლათ შეუძლია თავის სურვილები ხიშტით და სახრჩობელებით მოახვიოს თავზე მთელ ხალხს. ახლაც მთავრობა ასეთივე ზომებით აპირებს ზურგის გამაგრებას, რომ მომავალ დუმასაც მომზადებული და დამარაგებული დახვდეს. ამის საშუალება კი ევროპიდან სესხის აღებაა, რადგან თვითონ რუსეთის ხალხი დიდიხანია ჯიბე გაცალიერებულია და მიუხედავათ მუდმივი ეგზეკუციებისა, ხ. ..ინას ვეღარ აგესებს. მაგრამ როგორ უნდა იშოვოს ფული იმ მთავრობამ, რომელიც დიდიხანია ყოველ ნდობას მოკლებულია, რომელმაც მთელი ქვეყანა დაარბია და გაალატაკა და, მაშასადამე, ვალის გადახდა აღარ შეუძლია. ერთი სიტყვით მთავრობა, რომელსაც სიკოტრე ადგია კარზე და იქიდან გამოსავალი გზა არა აქვს, ყველასგან მოძულებულია. მარა სტოლიპინს მაინც მოუსურვებია ასეთ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა იშოვოს და მთელ თავის ბიუროკრატიულ მეხანიზმს ამოქმედებს ამ მიზნის მისაღწევათ. მას უნდა დაუმტკიცოს, მოაჩვენოს ევროპის როტშილდებს, რომ ის ლიბერალურ გზას ადგია და სულითა და გულით მოწადინებულია ხალხის კეთილდღეობისათვის იზრუნოს, რომ სასტიკ ზომების მიღებას აიძულებს მხოლოდ დაუდეგარი და მოუსვენარი რევოლიუციონერების თავხედობა. რევოლიუციონერების წინააღმდეგ კი ფულებია საჭირო და სტოლიპინიც პირდება ორ წელში რევოლიუციის სრულ ჩაქრობას და ევროპის ჟანდარმის ხელახლა ევროპას მთავრობათა დარაჯათ დაყენებას; მარა ასეთ დაპირებებს არავინ უჯერის, სტოლიპინი კი ახალ დაპირებებს უმატებს; ახლა რეფორმების შემოღებას პირდება და რადგან ევროპის ბანკირები, რომელთაგან მათ ოქროს ნაკადულები უნდა გადმოადინოს რუსეთის ცარიელ ხაზინაში, ებრაელები არიან (მენდელსონი და სხვა), ისიც ებრაელების მდგომარეობის გაუმჯობესებას პირდება, მათ ეროვნულ გრძნობებით დაკმაყოფილებით ფიქრობს, მათი გულის მოგებას. ამ მიზნით სტოლიპინის ოფიციოზური გაზეთი უკვე აცხადებს, რომ მთავრობას სურს ებრაელთა ყოფა ცხოვრების გაუმჯობესება, ებრაელების იმ გუბერნიების გარეშე, რომელნიც მათთვის საცხოვრებელ ადგილათაა დანიშნული, ყველგან თანასწორი უფლებები ექნებათო და სხვა ასეთი მცირეოდენი შეღავათები მიეცემათო. მაგრამ ვერ მოასწრო ასეთი აზრების გამოთქმა ოფიციოზურ გაზეთ „როსსიამ", რომ აღსდგენ „ჭეშმარიტ რუსთა პოგრომშჩიკები" და თავის მუშტი მოუღირეს სტოლიპინს. ტელეგრამები ტელეგრამებზე მისდის სამინისტროს: არ გაბედოთ ებრაელების უფლებებში გათანასწორება ნამდვილ რუსებთან, არ გაბედოთ საზოგადოთ მათი უფლებების გაფართოვება, თორემ „რუსეთის ხალხის მოთმინების ფიალა აივსო, და ისინი თავისებურ მსჯავრს დასდებს ამ რუსეთის ამომფხვრელ კრამოლნიკებს, ებრაელებსო. მთელი კაზაკები ფეხზე დგას და უნდა აირჩიოთ ან კაზაკები ან ებრაელები. ვის დაეყრდნობა მთავრობა, როცა ხელახლა იფეთქებს რევოლიუციონერების აჯანყებაო' კაზაკებს თუ ებრაელების დრუჟინიკებსო". ამ სიტყვებში რუსეთის პოგრომშჩიკები აშკარათ ეუბნებიან, ჩვენა ვართ მთავრობის სიმაგრე და საფუძველი, ჩვენ ძალზეა დაყრდნობილი მისი სიძლიერე და ჩვენი პოლიტიკა უნდა წარმოებდეს. ეს პოლიტიკა კი თავის სისწორით და პირდაპირობით პირდაპირ ეწინააღმდეგება და ძირს უთხრის მთავრობის მელაკუდობას, მათ გაიძვერობას და თვალთმაქცობას. და მართლაც ასეთ იერიშის შემდეგ მთავრობა მიდუმდა, „როსსიამ" წერილები შეწყვიტა; სტოლიპინი აღარაფერს ამბობს. აშკარაა მთავრობის სამარეს თხრის ის ძალა, რომელმაც დეკემბერში მისცა მას გამარჯვება, აშკარაა მთავრობას არ შეუძლია და ვერც მოახერხებს ხელახლა იმ ოინბაზობის განმეორებას, რომელიც პირველი დუმის წინეთ ჩაიდინა.

უფულოთ კი რუსეთის მთავრობას გაძლება არ შეუძლია მისი დღეს უფულოთ დატოვება, ეს მისი უეჭველი სიკვდილი იქნება; უსესხოთ დარჩენილი მთავრობა კი ხელფეხ შებოჭილი იქნება, იძულებული გახდება ხალხის სურვილის წინაშე ქედი მოიხაროს, რადგან მხოლოდ ხალხურ წყობილების დამყარებას შეუძლია დღევანდელი ფუ-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო. ? საზოგ. ბიბლიოთეკა

დურესი ფინანსიური კრიზისიდან დაიხსნას სახელმწიფო. მხოლოდ ხალხის ფართო თვითმოქმედებაზე დამყარებულ წყობილებას შეუძლია რუსეთის ეკონომიურ კეთილდღეობის აღდგენა, ეს უკანასკნელი კი აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს ფინანსიურ წარმატების. ამნაირათ მხოლოდ რუსეთის განახლების აუცილებლობა ერთათ-ერთი ლოღიკური დასკვნაა ამ საშინელ კრიზისიდან გამოსასვლელათ, რომელშიაც ჩააგდო რუსეთი გამეფებულმა თვითნებობის და ძალმომრეობის პოლიტიკამ.

## რატომ დრტვინავენ?

გაზეთ „სტრანა“-ს აზრით (იხ. № 211) თუ დღეს სოციალდემოკრატიული პარტია დამფუძნებელი კრების მოწვევას მოითხოვს, ამის მიზეზი ისაა, რომ სოციალდემოკრატია მთავრობისადმი შურის-ძიების გრძნობით არის გატაცებულიო; აქ (სოციალდემოკრატიის პლატფორმაში) პირდაპირაა ნათქვამი, რომ ხალხმა დუმაში ისეთი კაცები უნდა გაგზავნოს, რომელნიც მედგრათ იბრძოლებენ დამფუძნებელი კრების მოწვევისათვისო. ამის გაგონებაზე კადეტური გაზეთი შიშს მოუცავს და დრტვინავს, რა საჭირო იყო ახლა ლაპარაკი დამფუძნებელ კრებაზე, რომელმაც ვითომ-და ყველა სენისაგან უნდა განკურნოს ჩვენი ცხოვრებაო. რაშია საქმე? რამ შეაშინა, რამ შეაძრწუნა ბ. ბ. კადეტები? ეს კითხვა მით უმეტეს საინტერესოა, რომ ჩვენი ფედერალისტების აზრით ჩვენ და კადეტებს შორის განსხვავება არ არის. რატომ არ უნდათ კადეტებს დამფუძნებელი კრება? იმიტომ, რომ დამფუძნებელმა კრებამ უნდა შესცვალოს სახელმწიფოს ძირითადი კანონები ისე, როგორც ამას მოითხოვს მთელი ხალხის ინტერესები; შესცვალოს ისე, რომ ხალხი გახდეს თვითმპყრობელი. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ კადეტები დაჰკარგვენ ძლიერ მოკავშირეს, თვითმპყრობელობას. ყოფილმა დუმამ ცხადათ დაგვანახვა, რომ უმთავრესი დღევანდელი კითხვის გადაწყვეტა, ძირითადი კანონების შეცვლა, შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას. ამიტომაც სინამდვილე მოითხოვს მის მოწვევას. კადეტებს კი გონიათ, რომ ეს ჩვენი შურის-ძიების შედეგია და ამიტომ სრულიად უდროვო და უსაფუძვლო. მაშ რა უნდათ კადეტებს? მათ უნდათ დუმა და უნდათ იმიტომ, რომ იმედი აქვთ დუმაში პირველობა მათი იქნება და ხელს ვერვინ შეუშლით მათ ისე მოურიგდენ თვითმპყრობელობას, როგორც ამას მათი ინტერესები მოითხოვს. პროლეტარიატი, მშრომელი ხალხი ამას ვერ შეურიგდება. ის ნებას არ მისცემს კადეტებს თავისებურათ ჩვეულებრივათ მოაწყონ საქმეები. ის „მესამე პირის“ როლს ვერ ითამაშებს სახელმწიფოს ძირითადი კანონების შეცვლაში. მას სრული ხმა და უფლება უნდა ქონდეს ამ კითხვის გადაწყვეტაში? ის ერთ წამსაც ვერ შეურიგდება, რომ მისი ნება ოდნავ არის შეზღუდული და შეკვეცილი იქნეს; კადეტებს ვერ მიანდობს იგი თავის მომავალ საქმეს. ბევრი რამ, რაც კადეტებს ოცნებათ და გრძნობებია, გატაცებათ მიაჩნია, პროლეტარიატისთვის, მშრომელი ხალხისთვის, სინამდვილეა. პროლეტარიატს არ სცალია სიტყვებისთვის. მას დღეს სისხლი სდის, მას შიმშილით სული ხდება, მას თოფით და ზარბაზნებით დასდევენ, მას ციხეებში აქვს ბინა მიჩენილი, მას სწყურია სწავლა, ის ეწაფვის ბნელეთიდან ამოვიდეს სინათლეზე და დაიჭიროს შესაფერი ადგილი ცხოვრებაში. მისი გზა რევოლიუციონურია, ამიტომაც იგი მომავალ დუმას უყურებს, როგორც რევოლიუციის ერთ საფეხურს. ის უნდა შესდგეს ამ საფეხურზე რომ დამფუძნებელ კრებას მიუახლოვდეს. კადეტებისათვის ეს გზა ხელსაყრელი არ არის; ეს გზა ასწრაფებს, ამოკლებს ბურჟუაზიის და მისი იდეოლოგების, კადეტების, მომავალ ბატონობის გზას. ამიტომაც ეშინიათ მათ დამფუძნებელი კრების, სადაც ხალხს შეუძლია მეტი ხმა ექნეს, მეტი ძალა მოიკრიბოს, სავსებით გამოსთქვას თვისი საჭიროება, უფრო მედგრათ იბრძოლოს თვისი ინტერესებისთვის, დააკანონოს ის, რაც მისთვის უფრო ხელსაყრელია, შექმნას ისეთი პირობები, რომელიც მას საშუალებას მისცემს დაჩქარებით გასწიოს სოციალიზმისაკენ. აი მიზეზი კადეტების დრტვინვის და გოდებისა. მაშ გოდებდეთ და დრდტვინავდეთ ბ. კადეტებო, ჩვენ კი მოვითხოვთ დამფუძნებელ კრებას, რადგან ამას გვეუბნება გრძნობაც და გონებაც, ცოდნაც და გამოცდილებაც, წარსულიც და აწმყოც; კვლავ დრდტვინავდეთ მშრომელი ხალხის წინაშე, რომელმაც უკვე საკმაოთ შეიგნო, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე.

## საარჩევნო კამპანია

**ქ. კოსტრომა.** ადგილობრივ სოციალისტურ ჯგუფებმა გამოსცეს მოწოდება ამომრჩევლებისადმი. მოწოდებას ხელს აწერს შემდეგი ორგანიზაციები: ს.-დემოკრატებისა, სოც.-რევოლიუციონერების და გლეხთა კავშირი. ადგილობრივი სოც.-დემოკრატიული პარტია ქალაქში ალბათ დამოუკიდებლათ იმოქმედებს რადგანაც სოც.-რევოლიუციონერებს და გლეხთა კავშირს მცირე გავლენა აქვს. აგრეთვე დამოუკიდებლათ იმოქმედებენ მუშები ქარხნებში. ფაბრიკებში სოც.-დემოკრატების გამარჯვება უზრუნველ ყოფილია, მაგრამ კოსტრომის გუბერნიაში მუშებმა მხოლოდ 7 ამომრჩეველი უნდა აირჩიონ, ამიტომ მუშათა პარტიის მთავარ ყურადღებას იპყრობს ქალაქის არჩევნებში.

შეთანხმება სოც.-დემ. და კადეტებს შორის შესაძლებელია იმ პირობით, თუ ამომრჩევლების სია ამ პარტიების ამორჩეულთა რიცხვის მიხედვით პროპორციონულათ იქნება შედგენილი, აგიტაციის დროს კი სოც.-დემოკრატები დამოუკიდებლათ გამოვლენ იმ ლოზუნგებით, რომელსაც მისცემს მათი ცენტრ. კომიტეტი.

—

პოდოლის გუბ. (დაბა რიბნიცა). ადგილობრივმა ბოქაულმა მიიღო მოწერილობა სასტიკათ ადევნოს თვალ-ყური საარჩევნო სიების შედგენას, რომ ვინმე უკანონოთ არ იქნას ჩაწერილი. ამიტომ, როდესაც ბოქაულს მიუტანეს შესამოწმებლათ სია ამორჩეველ ბინის დამქირავებლებისა, მან მეშჩანთა სტაროსტა მოითხოვა. სიებიდან ბევრი ამრჩეველი გამორიცხეს, მაგრამ მაინც იმედია, რომ პროგრესიული პარტია გაიმარჯვებს.

—

გაზეთებში ბევრი ფაქტებია მოყვანილი იმის შესახებ, რომ პოლიცია ხელს უშლის სიების შედგენაში. **ეკატერინოდარში** ბინის დამქირავებლებს სიების შემოწმების დროს, თხოულობენ ცნობებს, თუ რამდენ ხანს ცხოვრობენ ისინი ბინაზე, რამდენს იხდიან და სხვა.

—

**როსტოვში** კადეტების ადგილობრივ კომიტეტის წარმომადგენლებმა შეეკითხენ გრადონაჩალნიკს, ნებას მისცემს ის თუ არა კადეტებს დაიწყონ საარჩევნო კამპანია. გრადონაჩალნიკს წარუდგინეს სტახტო ქალაქის გაზეთები, სადაც კადეტები თავისუფლათ ბეჭდვენ არჩევნების შესახებ განცხადებებს. გრადონაჩალნიკმა უპასუხა კადეტებს, რომ მისთვის სულ ერთია რასა სწერენ სტახტო ქალაქის გაზეთები. ის სარატოვში ბატონია და რაც უნდა, იმას იზამს. საარჩევნო აგიტაციის გაწევა გრადონაჩალნიკმა აუკრძალა კადეტებს, რადგანაც მათ რევოლიუციონერებათ სთვლის!

—

**ასტრახანი.** სოციალდემოკრატიული პარტიის ადგილობრივმა განყოფილებამ გადასწყვიტა ენერგიული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და შეუდგა კიდევაც მხურვალე საარჩევნო აგიტაციას.

—

მაგრამ არის ადგილები, სადაც პოლიტიკური მაჯის ცემა სუსტია, მცხოვრებლები გულგრილათ უყურებენ ყოველ პოლიტიკურ ფაქტს. რუსეთი დიდია. ბევრი ადგილები ძილიდან კიდევ არ გამორკვეულა.

აი რას სწერენ კამენეც-პოდოლსკიდან: —„მოახლოვებულია არჩევნები“. ამ სიტყვებს მცხოვრებლებზე არაფერი გავლენა არა აქვს პოდოლის გუბერნიაში. აქაურებმა ყოველივე იმედი დაკარგეს დუმის შესახებ. პარტიები აქ არავითარ მოქმედებას არ ეწევიან.

მაგრამ იმედია რევოლიუციის მსვლელობა ამ მიყრუებულ ადგილებსაც გამოაღვიძებს.

## ახალი ამბები

✦ თფილისის კანდ.-მებულკეების კავშირის ბიურო აცხადებს, რომ ამ უკანასკნელ დროს თითქმის ყოველ დღიურათ ჩამოდიან ამხანაგები სოფლებიდან ადგილის საშოვნელათ და ხელცარიელი რჩებიან, რადგან თფილისში ადგილი არ მოიპოვება, ამიტომ ბიურო აფრთხილებს ასეთ ამხანაგებს, ნუ ჩამოვლენ ქალაქში სანამ ბიურო არ აცნობებს.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: **თფილისის მეჩექმეთა ბიურო** ულრმეს ზიზღს უცხადებს მეჩექმე არტემ ტერ-არუთინოვს (ვერაზე), რომელმაც სრულიად უმიზეზოთ დაითხოვა ქარგალი და თანაც უწმაწური სიტყვებით მოიხსენია მათი კავშირი.

✦ თფილისის გუბერნიის მართველობამ 17 ნოემბრის სხდომაზე არ დაამტკიცა ქალაქის თვითმართველობის მიერ დასამტკიცებლათ წარდგენილი სავალდებულო დადგენილება ქალაქის ელექტრონის რკინის გზის მოძრაობის შესახებ და დაადგინა უკანვე დაუბრუნოს თვითმართველობას შესწორებების შესატანათ. საგუბერნიო მმართველობის აზრით თვითმართველობის მიერ შემუშავებული წესები არ არ ეთანხმებიან ნამდვილ საჭიროებებს.

✦ დღეს თფილისში აკურთხებენ პირველ მუსულმან ქალთა სასწავლებელს. სკოლა იხსნება ვორონცოვის ქუჩაზე იბრაგიმოვის სახლში.

✦ გუშინ ტამოჟნის ქუჩაზე იპოვეს მოკლული გვამი, რომელიც მუცელშიც ხანჯლითაა დაჭრილი. როგორც აღმოჩნდა, მოკლული ყოფილა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ქ. ანდრეევი. მოკვლის მიზეზი ვერ გავიგეთ.

✦ რკინის გზის მოსამსახურეთა კონფერენცია **დამთავრდა** 9 ნოემბერს. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ არსებობს ფართო ორგანიზაცია რკინის გზის მოსამსახურეთა რუსეთსა და პოლონეთს და სხვა განაპირა მხარეებში (პ.).

✦ რადგან მეტეხის ციხეში ტუსაღთა რიცხვი აღემატება ჩვეულებრივ ნორმას, ამიტომ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო დახურონ ციხის სტამბა და მისი სადგომი ტუსაღებისათვის მოაწყონ.

✦ გაზეთ „ზნამია“-ს პიატიგორსკიდან ატყობინებენ, რომ 14 ნოემბერს ესენტუკში პოლიციას აღმოუჩენია სკლადი პატრონების გილზის, რომელიც იაშიკებით იგზავნებოდა, როგორც ცარიელი ბოთლები. აგრეთვე აღმოუჩენიათ რევოლვერები და ნაწილები ვინტოვკისა.

✦ დღეს, 19 ნოემბერს **ავლაბრის თეატრში**, ქართველ **ახალგაზდა მსახიობების** მიერ გაიმართება დილის წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება დამნაშავეი და შემდეგ დივერტისმენტი.

## პროვინცია

**დ. ლანჩხუთი.** გაზეთ „მეგობარი“-ს № 36 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ქ. დროებით დანჩხუთელისა, რომელიც ბრალს დებს დანჩხუთელ ამხანაგებს მშრომელი ხალხის ღალატში, მის ინტერესების გაყიდვაში. ვინც ნამდვილათ არ იცის საქმის შინაარსი, შეიძლება დაიჯეროს კიდეც ბ. დროებითი-დანჩხუთელის მოჩმახული ჭორები. მაგრამ მინდა გაუწყო მკითხველ საზოგადოებას საქმის ნამდვილი ვითარება.

წრეულს ჩვენში, რადგან ჰარკის მუშტარი არავინ გამოჩნდა, ხალხმა გახსნა ფარდულები და ჰარკის წარმოება მიანდო რამდენიმე არჩეულ პირებს, კომისიონერებს. კომისიონერები ერთხანს თანხმობით მოქმედებდნენ, მაგრამ მალე მათში იჩინა თავი განხეთქილებამ. ხალხმა ეს გაიგო და უნდობლობის თვალით დაუწყო ცქერა კომისიონერებს, მარა რა გაეწყობოდა. რადგანაც ხალხმა თვითონ გახსნა ჰარკი, მას სურდა, რა თქმა უნდა, კარგ ფასებში გაეყიდა ის, და ამ მოსაზრებით მთელი 15 დღე იცადა, მაგრამ ამ დროს ჩვენში ეგზეკუცია ჩამოაყენეს, რომელმაც მეტად შეავიწროვა ხალხი. რა უნდა გვექნა, იმ დროს, როცა კაზაკები დაბანაკდნენ ჩვენში და თითო ქათამს მიირთმევდნენ დღეში, იმ დროს, როცა გადასახადებში გვაკირავებდნენ? საიდან უნდა გვეშოვნა ორიოდე გროში, თუ არა ჰარკიდან? და აი სწორეთ ამიტომ ხალხმა გადაწყვიტა არ ეცადნა ფასის მომატებას, და დაუყოვნებლივ გაეყიდა ჰარკი. ამაზე შეიკრიბნენ ჰარკის პატრონები, ამოირჩიეს სანდო პირები, რომელთაც უნდა გაეყიდათ ჰარკი, რაც შეიძლებოდა მალე. მათ შორის ერია ამხ. ნ. მხეიძეც. ამან ბევრი დავიდარაბის შემდეგ როგორც იქნა გაყიდა ჰარკი ბათუმში, ფუთი 49 მან.,

# ფელეტონი

—:—

**ჩვენ და ანარქისტები**

(გაგრძელება) *)

II

როგორც პირველ წერილში აღვნიშნეთ, ანარქისტებში ორი უმთავრესი მიმდინარეობა არსებობს: ინდივიდუალური და კომუნისტური.

ინდივიდუალურ ანარქიზმის მამამთავრათ ითვლება გერმანიის ცნობილი ანარქისტი მაქს შტირნერი (ნამდვილი სახელი და გვარი კასპარ შმიდტი), რომელმაც თავის დოქტრინა თავის ცნობილ წიგნში „Der Einzige und sein Eigentum“ (ერთათ ერთი და მისი საკუთრება) ერთნაირ ლოღიკურ მჭერ-მეტყველებით გაგვიმარტა. მაქს შტირნერის სისტემის საფუძველს შეადგენს პიროვნების ეგოიზმი. იგი თავხედათ გაიძახის: „ჩემს ზევით მე არაფერი ვიცი-რა“. თვითეულ პიროვნებას თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ შეუძლია ყოველგვარი საშუალება იხმაროს. „მე ვარ ყველაფრის პატრონი და მესაკუთრე, რაც მე მინდა და მჭირია, და რის მითვისებაც მე შემიძლია“. იქ, სადაც სოციალისტი იტყვის: „საზოგადოება მომცემს, რაც მე მჭირია, რასაც მე ვსაჭიროებ“, შტირნერის ეგოისტი ამბობს: მე ვიღებ იმას, რაც მე მესაჭიროება. მაგრამ მაქს შტირნერმა უკვე იცოდა, რომ „თითეულ პიროვნებას“ არ ძალუძს თავის საკუთარ ძალღონის საშუალებით თავის გართულებულ მოთხოვნილების დაკმაყოფილება; რომ მას ეჭირვება სხვებთან დაკავშირება, სხვებთან შეერთება საერთო საქმის შესასრულებლათ. ამისათვის იგი საჭიროთ სცნობს „თვითეულ პიროვნების“ სხვა ეგოისტების ჯგუფებთან შეკავშირებას. შეიძლება თვითეული პიროვნება ასეთ ეგოისტთა კავშირებში, თუ რომ ასეთ კავშირში შესვლა მისთვის ხელ-საყრელია, მისთვის სასარგებლოა, და ანებებს თავს, შორდება ასეთ კავშირს, როგორც კითეითეული პიროვნება (единственный) დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას. ასე, როგორც სჩანს, თვითეული პიროვნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთ ნაწილს თავის ინდივიდუალიტეტობისას თავის თავისუფლებისას მსხვერპლათ სწირავს ეგოისტთა კავშირის ინტერესებს, იგი კისრულობს ერთნაირ მოვალეობის ასრულებას. ამ შემთხვევაში, ანარქისტების მიერ წამოყენებული სრული თავისუფლება პრაქტიკაში ფაქტიურათ არ ხორციელდება, თვით ინდივიდუალისტი ანარქისტებიც კი მოუხერხებლათ ცნობენ თავიანთ თავისუფლების პრინციპის ცხოვრებაში ბოლომდის გატარებას.

როგორც პირველ წერილში გაკვრით შევნიშნეთ, შრომის ორგანიზაცია მოითხოვს ერთნაირ იურიდიულ იძულებას, ე. ი. თხოულობს, რომ უმცირესობის სურვილი აუცილებლათ დაემორჩილოს უმრავლესობის დადგენილებას. შეიძლება ვინმემ იკითხოს, სად ექნება ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მომავალ წესწყობილებას, ის ძალა, რომლის საშუალებითაც იგი სისრულეში მოიყვანს უმრავლესობის დადგენილებას, უმრავლესობის „კანონ-მდებლობას“. ბურჟუაზიულ წეს-წყობილების დროს მთავრობა აღჭურვილია უშველებელ იძულებითი საშუალებებით: პოლიციით, ციხე-საპყრობილეებით, სასამართლოებით და ჯარებით. მხოლოდ ამ უზარ-მაზარ ფიზიკურ ძალის საშუალებით ახერხებს თანამედროვე ბურჟუაზიული მთავრობა ხალხის უმრავლესობის დამორჩილებას—მასსაზე ბატონობას. მომავალ საზოგადოებისთვის, რასაკვირველია, საჭირო აღარ იქნება ფიზიკური ძალა, მისთვის საკმარისია მხოლოდ ზნეობრივი იძულებითი საშუალებანი. საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც თანამედროვე მებრძოლი მუშათა კლასი—პროლეტარიატი დაამყარებს თავის გამარჯვების შემდეგ, ექვს გარეშე, დემოკრატიულათ იქნება მოწესრიგებული; ამ შემთხვევაში ის იმავე დემოკრატიული პრინციპებით იხელმძღვანელებს, რომელიც დღეს გაყავთ მუშებს თავიანთ მებრძოლ ორგანიზაციებში: ყველა წევრთა სრული თანასწორობა; კანონმდებლობითი დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი საერთო სურვილის გამომხატველია, რომელსაც ყველანი ემორჩილებიან და რომლის სისრულეში მოყვანა უმრავლესობის მიერ ამორჩეულ მართველობის მოვალეობაა. იგივე იძულებითი საშუალებანი, რომელიც ვალათ ადებს აქ უმცირესობას—უმრავლესობის დადგენილებას დაემორჩილოს, აი ასეთ დემოკრატიულ პრინციპებით იხელმძღვანელებს მომავალი დემოკრატიული საზოგადოება. ამას ჩვენ ვეძახით დისციპლინას.

ეს დისციპლინა ნიშნავს თვითეულ წევრის ნება-ყოფლობითი დამორჩილებას საერთო ორგანიზაციის წინაშე; ეს არის ერთი მთავარი თვისება პროლეტარიატის, რომელიც მან კაპიტალიზმთან ბრძოლაში განავითარა. პროლეტარიატი ვერ ჩაიგდებს პოლიტიკურ დიქტატურას ხელში, ვერ მოსპობს სამუდამოთ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, თუ იგი (პროლეტარიატი) ამ თვისებას უმაღლეს წერტილამდე არ განავითარებს, თუ ის თავის ეგოისტურ სურვილებს საზოგადოებრივ ინტერესებზე დაბლა არ დააყენებს და პირველს მსხვერპლათ არ შესწირავს, როცა ამას საზოგადო ინტერესები თხოულობენ. ამ იდეალურ თვისებას მუშათა კლასი შეიტანს ახალ საზოგადოებაშიაც, სადაც იგი შეიქნება ზნეობრივი ცემენტი სოციალისტურ წეს-წყობილებისა; იგი ძლიერი ზნეობრივი ძალა იქნება მომავალ პოლიტიკურ დემოკრატიისათვის, და სრულიად ზედმეტათ გახდის ყოველგვარ იძულებითი ზომების ხმარებას.

ყოველ შემთხვევაში, დისციპლინა სპობს და ანადგურებს ადამიანში ისეთ სურვილებს და მისწრაფებებს, რომელნიც არ ემსახურებიან საზოგადოებრივ ინტერესების დაცვას, საზოგადოებრივ ინტერესების გაძლიერებას. მომავალ საზოგადოებაში დისციპლინის სიძლიერე, მისი უპირატესობა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ იგი ზღუდავს და ავიწროებს ეგოისტურ გრძნობას, ეგოისტურ მისწრაფებას, მარტო თავის თავზე ზრუნვას. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, მისი უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ ადამიანი შეისისხლხორცებს იმ აზრს, რომ საზოგადოებრივ ინტერესების დაცვა საუკეთესო გარანტიაა მისი კერძო ინტერესების დასაცველათ. („Anarchismus und Sozialismus von A. Pannekok.

როგორც ვხედავთ საზოგადოებრივი ურთიერთობა, კოლექტიური (საერთო) ცხოვრების განვითარება, როგორც დღეს, ისე შემდეგშიაც, აუცილებლათ თხოულობს ინდივიდუალურ თავისუფლების შეზღუდვას, შევიწროებას; უამისოთ საზოგადოებრივ ცხოვრების მოწეს-რიგება, საზოგადოთ მოუხერხებელი ხდება.

მაგრამ, როგორც ვიცით, ინდივიდუალურ ანარქისტ მაქს შტირნერის მოძღვრების მთავარ მიზანს თავისუფლება არ შეადგენს. „მე ვარ მე“, ეს არის შტირნერის სოციალ-ფილოსოფიის მთავარი შინაარსი, ამ განყენებულ ფორმულიდან გამომდინარეობს მისი მსოფლ-შეხედულება; მე + მე + მე + და ასე ბოლომდის, აი სოციალური უტოპია შტირნერისა. მისი „ეგოისტთა ფერაინი“ (კავშირი) არის მხოლოდ ჯამი აბსტრაქტულ (განყენებულ) ერთეულებისა. მერე, რა აიძულებთ მათ შეერთდენ? მათი ინტერესები, გვიპასუხებს შტირნერი. მაგრამ, რაში მდგომარეობს ან და რას წარმოადგენს ის ნამდვილი რეალური საფუძველი, რომელიც სხვა და სხვა „ეგოისტთა ფერაინების“ ინტერესებს აკავშირებს? ამაზე მაქს შტირნერი არაფერს გვეუბნება, და არც შეუძლიან რამე განსაზღვრული პასუხი მოგვცეს, ვინაიდან მ. შტირნერის თეორია გამომდინარეობს მხოლოდ აბსტრაქტულ (განყენებულ) ცნებიდან, რომელსაც ეკონომიურ სინამდვილესთან არაფერი საერთო არა აქვს. ჩვეულებრივ მისი (შტირნერის) ეგოისტური „მე“ გარკვეულს ვერას გვაძლევს. (Anarhismus und Sozialismus. von Georg Plechanow).

თავის ეგოისტურ „მეს“ თვითნებობით შტირნერის „თითოეული პიროვნება“ შორს ვერ მიდის და იძულებული ხდება, თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ეგოისტთა ფერაინს (კავშირს) შეუერთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა გაშორდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას, განცალკევდეს მისგან და ველურივით ტყის მცენარეებით ირჩინოს თავი. ამნაირათ დღიურ ცხოვრების მოთხოვნილებები აუცილებლათ ზღუდავენ ანარქისტების „ბუნებრივ, თანდაყოლილ, თავისუფლებას“ და ერთიანათ იმორჩილებენ მას.

დღეს დედამიწის ზურგზე, თვითოეულ პიროვნებისთვის სხვებთან დამოუკიდებლათ ცხოვრება შეუძლებელია, ამ გვარი ნეტარყოფილი ცხოვრება დიდიხანია ჩაბარდა ისტორიის არხივს მეოცე საუკუნეში ადამიანს შეუძლიან მხოლოდ თავის აზროვნებაში, თავის წარმოდგენაში იყოს „ერთი“ დამოუკიდებელი არსება, ფაქტიურათ იგი არა დროს არ იქნება აბსოლიუტურათ დამოუკიდებელი, აბსოლიუტურათ თავისუფალი. ასეთ დამოუკიდებლობაზე—თავისუფლებაზე ფიქრი შეუძლიან მხოლოდ სარწმუნოებრივ ფანატიზმით შეპყრობილ ადამიანს ან და სულით ავადმყოფს, რომელსაც ცხოვრების სინამდვილე ვერ შეუგნია, მისი მსვლელობა ვერ გაუთვალისწინებია.

ინდივიდუალისტურ ანარქიზმის მოძღვრებას არაოდეს არ ქონია დიდი ლიტერატურული მნიშვნელობა, არ ჰქონია ისეთი გავლენა, როგორც მეორე კომუნისტურ ანარქიზმს და თეორიას. შტირნერის ანარქიზმს მიმდევრებათ ზოგიერთი კერძო პირები გამოდიოდნენ; მასსაზე მათ არავითარი გავლენა არა ჰქონიათ. ამისათვის ჩვენც მოკლე შენიშვნით დავკმაყოფილდით. უფრო ვრცლათ შევეხებით მეორე, უფრო ძლიერ და გავლენიან ანარქისტულ მიმდინარეობას—კომუნისტურ ანარქიზმს.

*) იხ. „ტალღა“ № 25).

...ლენაც მეტს მაშინ არავინ იძლეოდა და რადგან, როგორც ზევით გსთქვით, მეტი მოცდა შეუძლებელი იყო. თვითონ კომისიონერებს არ მიანდეს პარკის გაუდვა, რადგან მათმა კინკლაობამ ხალხი დააშინა და თან ხმები გავრცელდა, რომ კომისიონერები თვეში 40—50 მან. ჯამაგირს თხოულობენ და ფული თუ იგდეს ხელში, ხალხის დაუკითხავათ აიღებს.

ამგვარათ პარკის გაუდვა ხალხის სურვილი იყო და არა მხეიძის პირადი განზრახვა, რასაც დაამტკიცებს მთელი საზოგადოება, რომელმაც ის ამოირჩია. მაშ რათ დასჭირდა ბ. დროებით ლანჩხუთელს ფაქტის ასე უშნოგავსოთ დამახინჯება? რათ აამხილა ის ასე მხეიძის, ურატაძის და სხვა ამხანაგების წინააღმდეგ? ამის მიზეზებს დავასახელებ ახლავე.*) როცა ჩამოვიდა პარკის ფული, საჭირო დარჩა კრების მოწვევა, რომელსაც უნდა განესაზღვრა ფარდულებზე მომუშავეთა ჯამაგირები. ამ კრებას დაესწრნენ თითქმის ყველა ადგილობრივი ამხანაგები (მანამდის არც ერთს არ მიეღოთ პარკის საქმეში არავითარი აქტ. მონაწილეობა), რადგანაც წინადადება მოგვცეს, არევ-დარევა მოსალოდნელი ხალხსა და კომისიონერებს შორის და დაგვესწრეთ. კრებას ხელმძღვანელობდა ამხ. გრ. უ—ძე, პირველათ გადაწყდა უარაულების, მომხარშავების და ქალების ჯამაგირი, რითაც ეს სამი კატეგორიის მომუშავენი კმაყოფილი დარჩნენ. შემდეგ ჯერი მიდგა კ-რების ჯამაგირზე.

მაშინ კრებაზე გამოვიდა ერთი კ-თაგანი მახარობელ კვაჭაძე და განაცხადა, რომ ბევრი თათბირის შემდეგ კ-ბმა გადასწყვიტეს მოითხოვონ თვეში 40 მ. ნაკლებს კი არ ავიღებთ, რადგან პრინციპის ღალატი იქნებაო. ამაზე დიდი ალიაქოთი ატყდა. შეიქნა ყვირილი, მიცემა ჩვენა საქმეა და თუ ძალაზეა საქმე სულ არაფერს მოგცემთო. ბოლოს, როგორც იქნა ამხ. გრ. უ-ძის და სხვების ჩარევით კრება დაწყნარდა კ-რების ჯამაგირი ასე განსაზღვრეს: რადგან 9 კაცი კ-რები შეცდომით დარჩნენ არჩეული (საკმარისი იყო სამი ამბობდენ ამ საქმის მცოდნენი), რადგან ესენი მუშაობდენ 15-20 დღეს, მიეცეს პირველ თვეში თითოს 30 მ. ხოლო დანარჩენ 3 თვეში თითო თუმანი თვითეულსო. ასეთი იყო კრების გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილებით კ-რები, რა თქმა უნდა მეტათ უკმაყოფილონი დარჩნენ, რადგან 4 თვეში, უკანასკნელს, 160 მანეთს მოელოდნენ. ერთმა მათგანმა მახარობელ კვაჭაძემ განაცხადა ყვირილით, რადგან არ გვაძლევთ რაც გვერგება, ანგარიშებს და საას არ ჩაგაბარებთო. მან მოინდომა საჭირო ქაღალდების გატაცება, მარა ხალხი გამოუდგა და წაართვა. ამის შემდეგ, თანახმათ კრების გადაწყვეტილებისა, ამორჩეულმა პირებმა გაანაწილეს და დაარიგეს ფულები. ეს იყო და ეს. შემდეგ ამისა კ-რებმა (ზოგმა რა თქმა უნდა) საყვედური გამოუცხადეს ამხ. უ-ძეს და მხეიძესაც. რატომ არ მოაცემინეთ ჩვენთვის ხალხს, რასაც ვთხოულობდითო (ამას დაამოწმებს როგორც ამხ. გრ. უ-ძე, ისე იქ დამსწრე ამხანაგები და ბევრი საზ. წევრები. ვალია) თქვენ გავლენა გაქვთ ხალხში და დაგიჯერებდნენო! ამ გვარათ, ნ. მხეიძეს განზრახ ნაკლებ ფასში არ გაუდვია პარკი, მას თავის მოწოდებით (როგორც ბ-ნი ლანჩხუთელი ამბობს) არ გაუხდია პარკის საქმე. მან პირნათლათ შეასრულა ის, რაც დააკისრა საზოგადოებამ, მისი მოქმედებით ყველა პარკის პატრონები კმაყოფილია. მე გამტკიცებ, რომ ყველა ბრალდება, რომელსაც აყენებს ბ-ნი დროებით ლანჩხუთელი, მხოლოდ ზოგ კ-რების უკმაყოფილებაზეა აშენებული. არც ამხ. გრ. უ-ძეა არაფერში დამნაშავე; მან თავმჯდომარის როლი წესიერათ შეასრულა. აქ არის დამნაშავე ის გარემოება, რომ კ-რებმა საწადელს ვერ მიაღწიეს, და 160 მ. ვერ აიღეს. სასაცილოთ და ახირებულია ზოგ სოციალისტების საქმე, რომლებიც ამაყათ გაიძახიან მშრომელი ხალხის ინტერესების და სხვა; (ეს მაშინ როცა ზეპირათ არის საქმე). როცა მათ ჯამაგირზე მიდგება საქმე, ყველას დავში ამოსვრის და ჩირქის მოცხებას მოინდომებენ. მე ვგულისხმობ აქ ბ-ნ დროებით ლანჩხუთელს. ის უკიჟინებს სხვებს მშრომელი ლანჩხუთელს. ის უკიჟინებს სხვებს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველათ, ს. დ. მოგაქვთ თავით, იმ დროს, როცა ორი გროშისთვის სრულიად პატიოსანი პირი გალანძღა. 1) რაც შეეხება იმას, ვითომ ნ. მხეიძის ათუკა ჩვენ რეზიდენციათ გამოგვეცხადებოთ, ეს მხოლოდ პროვოკაციაა, რომელზედაც შესაფერ მსჯავრს დასდებენ ამხანაგები. დასასრულ ვამბობ, რომ რაც ერთ ამხანაგს, რომლებსაც ბრალს სდებს ბ. დროებით ლანჩხუთელი, არავითარი თინბაზობა არ ჩაუდენია. თინბაზობა და ჭორიკანობა გამოიჩინა ზოგ კომისიონერებმა და თვით ბ-ნმა დროებით ლანჩხუთელმა, იმიტომ, რომ მხეიძემ და უ-ძემ კ-რების სასარგებლოთ აგიტაცია არ გასწიეს.

ლანჩხუთელებმა კარგათ გაიგეს ვინ ყოფილა მისი ნამდვილი მტერი და მოყვარე და თქვენი სწავლება, ბ-ნ დროებით ლანჩხუთელო, არ ეჭიროებათ. ამასანა ჭორებს, რომლითაც თავიდან ბოლომდის სავსეა, მეგობარში მოთავსებული კორესპონდენცია, ყველგან ვერ გაასაღებთ. კარგათ დაუკვირდით რას ამბობს თქვენ კორესპონდენციაზე ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებნი.

ვალია.

*) ამხ. მხეიძემ აილო კრთამი თუ არა დამტკიცებენ მოწმეები, რომლებიც ბლომათ იყვნენ პარკის გაყიდვის დროს და რომლებსაც მხეიძე და სხვები გამოაცხადებენ გაზეთში. ვალია.

1) როგორც ამბობენ ბოროტი ენები ბ. დროებით ლანჩხუთელი, ხალხზე გულმოსული უკვე გადემოკრატისტდაო და ლ. ს. დ. ორგ. წინააღმდეგ ცხარე აგიტაციას ეწევაო. სოციალისტი და მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველიც ასეთი უნდა. ვალია.

—

**ლეჩხუმი.** დაიწყო ცაგერი ეს ბუდე განმათავისუფლებელი მოძრაობის მოძულე-მოსისხრეთა. როგორც ისმის, მაზრის უფროსი ზაგუსიევი შუამდგომლობს გუბერნატორთან დაწესებულებების სხვაგან გადატანაზე და ვნახოთ რა იქნება. მოსალოდნელია ლეჩხუმის ბრწყინვალე წოდება ამხედრდეს და მაზრის უფროსს გადაუდობოს ცაგერის ცენტრობის კარეშე დარჩენაში, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა.

ძალიან გახშირდა ჩვენში ძარცვა-გლეჯა და არ ვიცით როდის ან რა გვარათ მოეღება ბოლო ყველა ამას. ამ დღეებში დასჭრეს და გაძარცვეს მოხუცებული როსტომა ალავიძე. როგორც გავიგეთ ალავიძის სახლში მშვენივრათ უცვნიათ თავდამსხმელნი, მაგრამ მოხუც როსტომას შვილი მალხაზა თურმე არ აძლევს მათი დასახელებას და არწმუნებს მოლათ მოკლავენო. ჩვენის აზრით ძალიან კარგათ მოიქცევა როსტომა, თუ დაასახელებს მის თავდამსხმელ ავაზაკებს, რადგან შესაძლებელია საშუალება აღმოჩნდეს მათ ასალაგმავათ. ხალხში ხმა დადის თავდასხმა უნდა მოეხდინოთ გ. ა. და ტ. თ. როსტომას ნათლული თ. ა. ხელმძღვანელობით.

ძალიან ცუდათ არის ლეჩხუმში გაზეთების გავრცელების საქმე. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ვითომ შეუძლებელი იყოს გაზეთების თავთავის დროს შეტანა, როგორც ამას ლაქანელი ბანოვანი ამბობს. „მეგობარში“, არამედ ის, რომ არავინ კისრულობს აგენტობას, რადგან ეშინიათ დაგვიჭერენო. ოღონდ იკისრონ აგენტობა და გაზეთებს ყოველ დღე მოვაწოდებთ. იმ თავდებობითაც, რომ ხალხი დაინტერესებულია და გაიყიდება. „ლ.“

## მუშათა შორის.

**ტერ-ხაზაროვის მეჩექმე მუშების მოთხოვნები.** 1, მოისპოს ნაჭრობით მუშაობა და დაწესდეს თვიური; 2, რვა საათის სამუშაო დღე; 3, შაბათობით ერთი საათით ადრე სამუშაოს ალყვეთა; 4, ჯამაგირების მიღება მუშაობის დროს; 5. სახელოსნოს გიგიენურათ მოწყობა; 6, მუშების დათხოვნა და მიღება მუშებისავე საქმე იყოს; 8, ჯამაგირები გვეძლეოდეს ყოველ შაბათობით; 8, ზრდილობიანი მოპყრობა; 9, გაფიცვის დროს ჯამაგირები უცლებრივ მოგვეცეს; 10, გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი.

—

**თფილისის საკანდიტეროებში:** ეს ორი თვეა, რაც პროფესიონალური კავშირი დავაარსეთ; ამ ორ თვეში კავშირის ბიურო ენერგიულათ შეუდგა მუშაობას სხვა და სხვა საქმეების მოსაწესრიგებლათ: ერთი უმთავრესი კითხვა იყო უმუშევრათ დარჩენილების ადგის შოვნა: ბიურომ ბევრი იფიქრა ამ კითხვაზე და ბოლოს შემდეგ დასკვნას დაადგა: რომ უმუშევრათ დარჩენილი ამხანაგების ჯგუფი-შემცირდეს ამიტომ ბიურომ დაადგინა, ყველა ამხანაგებმა, რომელნიც წელიწადზე მეტია ადგაზე მუშაობენ, ადგილი დაუცალონ ამხანაგებს ორის ან სამი თვით. ამ დადგენილებას კავშარის წევრები სიხარულით მიეგებენ*), მეტადრე ისინი, ვინც სამი წელიწადი თავის ცოლშვილი არ უნახავს სახლში წაუსვლელობას გამო, თითქმის ერთ თვეზე მეტია ეს დადგენილება ცხოვრებაშიც გატარდა. რამდენიმე ამხანაგები კიდეც მოიქცენ ასე. მარა რა გამოვიდა? ეს აზრი მაინც ბოლომდის ვერ განხორციელდა. მუშები ამბობენ, ხომ არ გაგიჟდით, მე გამოვალ სამუშაოდან და სხვას დავაყენებო? ამხანაგები არ ცლიან ადგას. სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან კი მოდიან ამხანაგები, რადგან გაიგეს, იქ ადგას იძლევიანო.

ბიუროც ხათაბალაში ჩავარდა. რა ქნას ეხლა ბიურომ. ეხლა უნდა უარყოს თავის დადგენილება, მეტი გზა არ არის; ბიურო მაშინ შეცდა, როცა ამბობდა დღევანდელ დროში უმუშევრათ დარჩენილებს მოვუსპობთ, დაიხ ჩვენი შეცდომაც სწორეთ ეს იყო. ამიტომ ბიურომაც უარყოს თავის დადგენილება, მაგრამ ბიურომ სხვა რამე უნდა გამოიმუშაოს, რაც დღევანდელ ცხოვრების პირობებს შეეფერებოდეს, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი დადგენილება არ მიუღია: უმუშევრათ დარჩენილთა რიცხვი ერთობ დიდია. მეტადრე ბათუმის საკანდიტროების ოსტატებმა ისახელეს თავი. ისე კვირა არ გავა, რომ თითო შეგირდი არ გააგდონ ქუჩაზე. ამ გაბატონებს შეგირდებმა თუ რამე კადრეს, ხელათ იუკადრისებენ და გამოაგდებენ სამუშაოდან. ზოგი გაბატონი რომ შეგირდებს უდიერათ ეპყრობა, ჩემს და თუ მან სიტყვა შეუბრუნა, ადგილიდანაც აგდებენ. შეგირდებიც იძულებული არიან ლუკმა პურისთვის სხვა ქალაქში წავიდნენ. როდის მოიშლიან ეს გაბატონები ამ ძველ რეჟიმის ხელობას, ღმერთმა იცის!.

*) ჩემის აზრით, კარგი იქნება, რომ სხვა პროფესიის მუშებიც წაბაძავდენ ამ თქვენ მიერ კონკრეტულ დადგენილებას, რომელიც ძლიერ კარგ გავლენას იქონიებს უსაქმოთ დარჩენილ ჩვენ ამხანაგებზე. ას.-ამ. დონ-ლანი.

—

ამ ბოლო დროს ნოქრებმაც გამოიღვიძეს. წინათ თუ დილის 7 საათიდან ღამის თორმეტ საათამდე მუშაობდენ, ეხლა დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე მუშაობენ; თუმცა მათში მეტი წილი ქალებია. ამათაც შეიგნეს, რომ ორგანიზაცია მუშებისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ, და როცა ხაზეინებმა დაითხოვეს ბიურომ უკვე მიაქცია ყურადღება ამ ნოქრებს და ამოირჩია ერთი კაცი, რომელსაც დაევალა ორგანიზაციის მოწყობა მათში. იმედია მალე ისინიც გვერდში ამოუდგებიან დანარჩენ მუშებს.

მუშა ასალო

## პაწარა ფელეტონი

სხვადასხვა დღიურებიდან

### ბობოლას დღიურიდან.

...„ხა, ხა, ხა! მოდი და ნუ გაიცინებ! „კრამოლნიკები“ მართლა ემზადებიან დუმისთვის, ეგ სალოდავები ფეხას შემოდგმას კი მოასწრებენ?!. ე ფულები კი ვისესხოთ და მერე ჩვენ ვიცით, თუ „სენატსკი რაზიასნენიებმაც“ ვერ გასჭრა, ასეთ პანღურს ვუპერთ, რო, მგონი თვალები ჰერში დარჩეთ! რა გვენაღვლება, ჯერჯერობით თავი პია გაახარონ...

დასწყევლა ღმერთმა, ყოველ დღე ამოდენა ემიგრანტებს ვისტუმრებთ საიქიოს და გლეხები მაინც შიმშილობას ჩივიან! „ვინტი“ თუ მოეშალა „ვოენნო პოლევოი სუდებს...“ ხვალ მაინც დავითვალიერო და სლესარი პაველოვი დავიბარო...

მართლა, არ დამავიწყდეს, ბოლოში მოვიხადო „ჭეშმარიტ რუსებთან“, თორემ ლამის აგვიკლონ, რო „პოგრომები“ შეჩერდა. ხო-და, მართლაც რას მიკეთებენ ჩვენი პოლიციელები?! რა უჭირთ „ექსპროპრიატორებს“ გაუმხანაგდენ და ჰერში ქუდს ისვრიან. ნეტაი იმათ! ჩვენ კი, რაც „კაზნაში“ საექსპროპრიაციო იყო, დიდი ხანია გავათავეთ... „ზემლეუსტროიტელნი კომისია-ღა დაგვრჩა...“

### ვიტეს დღიურიდან.

...„ერთი დრო არავის შერჩენიაო“... პაი, გიდი! შარშან ამ დროს ვინ მოიფიქრებდა, რომ პორტ-სმუტსკი ე'აფი კარ-კარ დაიწყებდა წიალს?.. წვადიც დავწვი, შამფურიცა. ვერც ცხვრები მოვიმადრიელე ვერც მგლები... არა, უნდა უთუოთ დავდლინგო ვისმე ფულები, თორემ სახლში აღარ შემიშვებენ... ღმერთო! ისე მოახერხე, რომ ხვალ მენდელსონი კაი გუნებაზე დამხვდეს“.

### „კადეტის“ დღიურიდან.

...„სიბერემდის სიქაჩლე გეწეროსო“!.. ამ დღისაც მოვესწარი, რომ ჩვენც რევოლიუციონერებათ გვთვლიან?! ენა დაგვიკოდიყდა გონიერი ზომიერების და ზომიერი გონიერების ძახილით და დახე, კურდღლივით არ გვდევნიან!.. ა...ახ, ჩემო კაბინეტო, თბილო საბანო და ფერად ფერად საპმელო, სადა ხარ ეხლა, რა მჯიდა, რაში მეკნაჭებოდა მინისტრის პორტფელი?! განა მაგათგან გამოდნება რასმე კაცი?!“

### „დაშნაკცაკანის“ დღიურიდან.

...„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“... ხა, ხა, ხა! კაი სარმა კი გამოუდეთ, აი! ზოგჯერ თათარიც გამოსადეგი ყოფილა... ღმერთმა აცაცხლოს ალიბალი! კაი დროს მოგვაგონდა, თორე, შენი მტერი, უთაფლოთ დავეტოვებდნენ ეგ ლაწირაკი სოციალ-დემოკრატები, ფუტკრებს დაგვიფორიაქებდნენ!..

მართლა, არ დამავიწყდეს: ოციოდე შეიარაღებული ზინვორი მივაშველო სარქისა მაილოვს... ახლაც იტყვიან ჩვენ სოციალისტები არა ვართ და ბრძოლა არ ვიცით!..

### ქამელეონის დღიურიდან:

...„ა...ახ, ნეტა ვიცოდე: ბოლოს მაინც ვისკენ იქნება ძალა?... ვაი თუ მართლა... ვაი თუ ტყუილი რახა-რუხია და ისევ ხალხმა გაიმარჯვოს?! მერე...მერ ე?...ხო ვეღარავის მოვატყუებ... რაცუნდა,მაღლა ვიყვირო „ერთობა“ და მიტინგებზე ვიარო, აღარავინ დამიჯერებს... დასწყევლა ღმერთმა, რა ნაირი დროა: ხან ასე, ხან ისე! არ იცი, როგორ მოიქცე. რო ორ ბორბალ. შუა არ მოჰყვე... არა უშავსრა, ეხლაც სუნით გავიგებ...ტელეგრამებზევე შეეტყობა“..-

### რედაქტორის დღიურიდან.

...„დაილოცა შარშანდელი წელიწადი, კაი თანხა დამრჩა! ხმა მაღლა ვმღეროდით და კენჭებივით ვხვეტავდით შაურიანებსა! წრეულ კი პატენტსა გვთხოვენ „შარმანკებში“, თანაც სხვა ჰანგი შემოვიდა „მოდაში“... რამდენნაირი კამერტონი გამოვცადე და ვერ იქნა, ვერას გზით ვერ შევასწავლე ჩემი გაზეთის თანამშრომელს გუბერნატორის მოსაწონი წრიპინი!.. ე...ეხ! ამაშიაც არაფერი დახლია! ცოლშვილი ამომიწყდება შიმშილით, თორემ სულაც დავკეტავდი ბალაგანს“...

### მწერლის დღიურიდან.

...„ჩამციებიან: „მანდ რამ შეგიყვანაო?! გიჟია?! მა რა მექნა ამ ცივ ზამთარში? სადაც კარს გამიღებენ, იქ მივეკედლები... ყველაფერს ეკონომიური სარჩული უდევს... ტანზე შარვალი არ მაცვია და რა დროს პრინციპ-გრინციპებია?! ქვეყანა დომხალივით აირ-დაირია, დედა შვილს ვერ იცნობს! ხედავ რა სუსხია?! ბრრ...უ...უხ! ეგ იდეები გაზაფხულზე უნდა“...

### ალექსანდრე ჟორდანიას (კიზლიარის მირ. სუდიის) დღიურიდან.

...„ რაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი ვერ უზამს იმასაო“! არა, რა მჯიდა, რა მესაქმებოდა, რატო არ ვაყენებდი ამ დასამიწებელ ენას?! ჯანი გავარდნოდა „ჩასავოისაც“, ტუსაღებსაც და იმათ სანახავათ მოსულებსაც! ან ხალხი რათ გადავიმტერე (ეხუმრები ეხლანდელ დროში!), ან თავი რათ მოვიჭერ ქვეყანაში?! სხვა არა იყვეს რა, ნერვები დამისუსტდა, დევნის მანია დამემართა: ყოველ კუნჭულიდან რევოლიუციონერები მელანდებიან! იმდღეს ერთი კაცი სპიჩკას ეძებდა ჯიბეში, მე კი მეგონა: რევოლვერს იღებს მეთქი და კინაღამ დავასწარ და მე თვითონ დავახალე!... ე...ეხ. მახლის! რა ვიცოდი, თუ ციხიდან ელ-შვილი მიგდებდა ყურს და საგაზეთო გავხდებოდი?!.. კიდევ კარგი, თუ მთავრობამ გაიგო და დამაჯილდოვა... ამაოთ რომ ჩამიაროს?.. არა, ხვალვე რედაქტორს მივწერ, თორემ მომკლავენ... ყველა თავს იმართლებს და მე რაღა ვარ?! მე უფრო პატივსა მცემენ უნივერსიტეტ გავათავე!“.

ნ. აზიანი.

## რუსეთის ამბები

—

**ს.-რ.-ების ც. კ.-მა დაგზავნა უწყება,** რომ მოსკოვის გრადონაჩალნიკის რეინბორტის მოკვლის განმზრახველთა რიცხვიდან დაჭერილი მარტო უკვე ამ საქმისთვის დასჯილი პირია, ხოლო სხვა მონაწილეები თავისუფალნი არიან და ეხლანდელ დატუსაღებულთ, ხსენებულ საქმეში არავითარი წილი არ უდევთ.

**რუსთა კავშირი ახალ კანონებს იგონებს.** რუსთა კავშარს ზოგიერთ მათი მომხრე იურისტების წინადადებით შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ იქნეს შემოღებული კანონი, რომლითაც, დატუსაღების გარდა, თითეულ ცალ გაზეთს თითო მანეთი ჯარიმა დაედოს, თუ ამ გაზეთში მოთავსებული იქნება რომელიმე კერძო პირის ლანძღვა. ამ საშუალებით რუსთა კავშირს იმედი აქვს ბევრი პერიოდული გაზეთები დაიხუროს და პროვინციებში ვეღარ გავრცელდებათ.

**პოლიციის დეპარტამენტს ცნობები მოუთხოვია** უმთავრეს საფოსტო სამმართველოსთვის იმის შესახებ, თუ რამდენი ცალი და რა და რა გაზეთი იგზავნება სხვა და სხვა ქალაქებში. ეს ცნობები დეპარტამენტს იმისთვის ესაჭიროება, რომ შეიტყოს, რა პროვინციებშია საჭირო მთავრობის ორგანოების დაგზავნა მომავალ არჩევნების დროს.

**ახალი პარტიის მოქმედება.** სახალხო სოციალისტური პარტიის სიეზდი მოხდება 20 ამ თვეს. თითეული ჯგუფი, 25 კაციდან შემდგარი, სიეზდზე ერთ დელეგატს გაგზავნის, 50 კაციდან—ორს, 100-დან და მეტიდან 4-ს. ჯერჯერობით პროვინციებში 50 ჯგუფებამდე შემდგარა. დუმის დეპუტატებით პარტიას წამოუყენებია ნ. ფ. ანენსკი, ფ. ა. მაკოტინი და ვ. გ. ტანი.

**მინისტრის ახალი განკარგულება მშრომელთა ჯგუფის შესახებ.** შინაგან საქმეთა მინისტრს მშრომელთა ჯგუფი მემარცხენე რევოლიუციონურ პარტიების რიცხვში ჩაურთავს და მიწერილობა დაუგზავნია გუბერნატორებისათვის, ლეგალური არსებობის ნება არ მისცეთ ამ პარტიასო; არ მოტუზუნდეთ და სხვა პარტიების სახელით არ მიცეთ მას კრების და აგიტაციის თავისუფლებაო, და თუ მოწოდებები გამოუშვან, მაშინათვე დაიჭირეთ და ენერგიულათ ებრძოლეთ, რომ ის არ გავრცელდეს ხალხშიო.

**რუსთა კავშირის გაზეთ „რუსკოე ზნამია-“ში** მოთავსებულია წერილი, რომელსაც ბოლოში ხელს აწერს „ოფიცერი, რომელიც თავს დადებს მეფის თვითმპყრობელობისთვისო“ წერილში შემდეგი აზრია გამოთქმული: „ვაი იმათ, ვინც ეურჩებიან და მის მსგავს პირებსავით დროზე არ ჩავარდებიან ჭკუაში და არ დაუბრუნდებიან ძველებურ ზნე-ჩვეულებას. რუსთა კავშირის ორგანიზაცია, რომელიც ეხლა მთელ ხალხათ გადაიქცა,—მართლმადიდებელი სარწმუნოება, თვითმპყრობელი მეფე და წმიდა რუსეთი,—წალეკავს და დაახრჩობს მათ; ამას მიხვდება ყველა, ვისაც ხალხთან ქონებია საქმე და იცის მისი ფსიხოლოგიაო“.

**კიდევ ჭეშმარიტ რუსთა შუამდგომლობა.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამ უკანასკნელ ხანებში, ებრაელების უფლებათა გაფართოების გამო, ბევრი წერილები მიდის თურმე, სულ ერთი და იგივე შინაარსის: „გთხოვთ ებრაელების უფლებები არ გააფართოოთ, რადგან ამით რუსის ერს დიდი განსაცდელი მოელისო; გაჯავრებული რუსეთის ხალხის უკიდურესობა, ძნელი წარმოსადგენია, სადამდის მივაო. ნუ დაღუპავთ რუსეთს, სანამ ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული, ნუ მიგვამართავინებთ „პოგრომებისთვისაო“.

**სტრაჟნიკების საქციელი.** ს. დოროგობუჟში ღვინით გალეშილი სტრაჟნიკები ბოქ. პროტროკსკის მეთაურობით შესცვიან მცხოვრებლებს და დაუწყიათ მათი აწიოკება. ზოგს მათრახით ცემა დაუწყეს, ზოგი ცხენებით გათელეს და ზოგან კიდევ დუქნებში შეცვივდნენ ცხენებით და დაუწყეს ნივთებს მტვრევა. სოფლელებმა ხელათ ჩამორეკეს ზარი, რის გამოხედვით მთელმა სოფელმა მოიყარა თავი, კეტებით და ცულებით შეიარაღებულმა. როცა გლეხების მრისხანე გამომეტყველება დაინახეს, მაშინ სტრაჟნიკები ხელათ გამოფხიზლდნენ და მოკურცხლეს.

**საშინელი შურისძიება.** 11 ნოემბერს პეტერბურგში „ობვოდნი კანალის“ მახლობლათ შემდეგი ამბავი მოხდა: ბარჟების მტვირთველმა მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა და გამოაცხადეს გაფიცვა, რადგან მოიჯარადრემ მათ ხელფასი დაუკლო; მეორე დღეს მუშებმა ჩაიარეს ნაპირისკენ დასათვალიერებლათ და დაინახეს, რომ ერთი მათი ამხანაგთაგანი, გლეხი ვასილ ანტიპოვი სამუშაოს დასდგომოდა. მუშებმა ჯერ მუქარა დაუწყეს, მერმე ქვების სროლასაც მოჰყვეს ხელი. ანტიპოვმა გაქცევა დააპირა ბარჟებისაკენ, მაგრამ აღელვებული მუშები დაეწიენ და ცემა დაუწყეს. იქვე ახლო დიდი კოცონი იყო ანთებული. უცებ ერთმა მუშათაგანმა დაიყვირა: „ძმებო, ცეცხლში მაგ უნამუსოს!“ ამ წამსვე ცემისაგან გრძნობა დაკარგული ანტიპოვი ცეცხლში გადაისროლეს. ამ დროს პოლიციაც გამოჩნდა. მუშები იმ წამსვე მიიმალნენ, ხოლო გარუჯული ანტიპოვი პოლიციამ საავადმყოფოში გაგზავნა, მაგრამ როგორც ამბობენ, მისი მდგომარეობა ძალიან სასაშიშროთ.

**სტოლიპინი ჟანდარმებს აჯილდოებს.** მინისტრმა სტოლიპინმა, როგორც ჟანდარმების შეფმა, მიმართა ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს თხოვნით. გადადეთ 20000 მანეთი ახალ ოქროს გულის და გულის მენდლების მოსაჭრელათ, რომლებიც, ჯილდოთ დარიგდება გულმოდგინე დაბალ მოსამსახურე ჟანდარმებს თავის სამსახურის ერთგულათ ასრულებისათვის. ეს ხდება მაშინ, როცა კოკოვცევმა სახელმწიფოს საშინლათ დავალიანება გამოაცხადა.

**ხმოსნები გარბიან.** კამენეც-პოდოლსკში შვიდ ხმოსანს დაუნებებია თავი ქალაქის საბჭოსათვის, რადგან „ისეთი პირობა შექმნა მთავრობამ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან არაფერის გაკეთება და ჩვენი ამრჩევლების მოტყუება კი ჩვენ არ გვსურსო. გაიგეს ყველამ, რომ ისეთი წარმომადგენლობა, როგორც შექმნა რეაქციონერმა მთავრობამ, ვერავითარ საქმიანობის გზას ვერ დაადგებაო“.

**კადეტებმა მაინც ჭკუა ვერ ისწავლეს.** რადგან მათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეიძლება მთავრობასთან ბრძოლა, თუ მთავრობისაგან ნებართვა არ გაქვს აღებული ამ საქმისათვის. მას შემდეგ, რაც მთავრობამ „სახალხო თავისუფლების პარტია“ არა ლეგალურად სცნო და ყველგან აუკრძალა კრებების გამართვა, ისინი მაინც გრადონაჩალნიკებთან, ატუზული გაიძახიან, „გთხოვთ კრების ნება მოგვცეთო“. 3 ნოემბერს დონის როსტოვში ადგილობრივ კადეტების პარტიის წევრს მიუმართავს გრადონაჩალნიკისთვის და უთხოვნია, გვიბოძეთ ნება საარჩევნო კამპანიას შევუდგეთ და კრებები ვმართოთო. გრადონაჩალნიკს უპასუხნია მოწერილობა და დაუშტებაა: არ შეიძლება, რადგან თქვენ რევოლიუციონურ პარტიათ ხართ მიჩნეულიო“.

# უცხოეთი

**მაროკოს საქმე.** ჩრდილო აფრიკის სახელმწიფო მაროკოში, ხელ-ახლა მიიპყრო ევროპის ყურადღება. იქაური მოძრაობა, ეჭვი არ არის, ხელ-ახლა გამოიწვევს დაინტერესებულ სახელმწიფოთა საქმეში ჩარევას. როგორც მადრიდელი „მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება, საფრანგეთი და ისპანია ენერგიულ მზადებაშია „ყოველდღე მოსალოდნელ შემთხვევისათვის“ და აგზავნიან გაძლიერებულ ჯარს ტანჟერში წესიერების ასადგენათ. საფრანგეთის მთავრობამ შეატყობინა ისპანიისას, რომ ბრძანება მისცეს ხმელთაშუა ზღვაში მყოფ ფლოტს გაგზავნოს მოზრდილი ძალა ტანჟერისაკენ. ისპანიამაც ასეთი ზომები მიიღო.

გიბრალტარიდან იუწყებიან, რომ ინგლისის ფლოტიც მზათ არის ტანჟერისკენ გასამგზავრებლათ, მაგრამ საფრანგეთის და ისპანიის გადაწყვეტილებას უცდიანო.

**პარიჟი.** 20 ნოემბერს (ახ. სტ.) სენატში კამათი გაიმართა კლემანსოს სამინისტროს პოლიტიკის შესახებ. ეს კამათი გამოიწვია კონსერვატორმა სენატორმა გოდენ დე-ვილენმა, რომელმაც გაკიცხა სამინისტრო, მიტომ, რომ მან შეუძლებელ და უსარგებლო საქმეს მოკიდა ხელი—შეუძლებელს იმიტომ, რომ სამინისტროს არ შეუძლიან თავის მიზნის შესრულება იმ მოკლე ვადაში, რომლის განმავლობაში არსებობენ საზოგადოთ საფრანგეთის სამინისტროები და უსარგებლო იმიტომ, რომ დღემდისაც არ ყოფილა მაგ. ისეთი სოციალისტური დაწესებულება, როგორც შრომის სამინისტრო, მაგრამ ქვეყანას არაფერი გაჭირვებიათ. ამას გარდა კლემანსომ სამხედრო კავშირი დაიჭირა, როგორც ამბობენ ინგლისელიათ და თავის სამინისტროშიც ისეთი პირები შეიყვანა, როგორც პიკარი და პიშანი, რომელთა პოლიტიკური წარსული არ შეეფერება მათ თანამდებობასათ.

კლემანსომ უპასუხა, რომ მისი მიზანია პასუხი გასცეს ცხოვრებაში მომწიფებულ კითხვებს; ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს მისი სოციალურ კითხვებისადმი მისწრაფება, აქედანვე გამომდინარეობს მისი შეუცვლელი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანოს ეკლესიის გამოყოფის კანონი. ის მოწადინებულია ეს კანონი სავსებით გაატაროს ცხოვრებაში, რომ ერიც და ბერიც ორივე ერთნაირათ ემორჩილებოდეს კანონს, როგორც საფრანგეთის მოქალაქენი. „ინგლისთან კავშირის დაჭერის შესახებ მე ჯერ არაფერი არ ვიციო“—სთქვა კლემანსომ „ხოლო რაც შეეხება პიკარს, თქვენი ინსინუაციები ვერას დააკლებენ: ის მშვენიერი სალდათი და დიდებული მოქალაქეა და ამისათვის სამინისტრო კიდევაც ამაყობს იმითიო.

გოდენ დე-ვილენის ხელ-ახალ სიტყვის შემდეგ სენატმა კლემანსოს სამინისტროს ნდობა გამოუცხადა 213 ხმის უმეტესობით 32 წინააღმდეგ.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

16 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 15 ნოემბერს უმაღლესათ დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს დებულება სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შემოღების შესახებ, რომელიც ძალაში შევა გამოცხადების დღიდან ექვსი კვირის განმავლობაში. სხვათა შორის დაადგინეს შემდეგი: 1) ყოველგვარ სავაჭრო დაწესებულებებში ვაჭრობა მუდმივია, გრძელდება არა უმეტეს 12 საათისა დღე და ღამეში. საჭმელების და სასმელების დუქნები, ღვინის სარდაფი და აბანოები ღია უნდა იყოს არა უმეტეს 15 საათისა დღე და ღამეში. ამავე დროს შეიძლება სანოვაგის და თამბაქოს გაყიდვა დამატებით. 2) თუ სავაჭრო-სამრეწველო საქმე მოითხოვს, მოსამსახურეები ვალდებული არიან დღე და ღამეში ორი საათი იმუშაონ ზედმეტი, რაც პირველ მუხლში ნაჩვენებია, ხოლო არა უმეტეს 40 დღისა წელიწადში, რაც სავალდებულო დადგენილებით უნდა განისაზღვროს ქალაქის ან საერობო დაწესებულებათა მიერ და სადაც ასეთი არ არის, გუბერნატორების მიერ. 3) პირველ და მეორე მუხლებში აღნიშნულ დროს გარდა მოსამსახურეები ვალდებული არიან იმუშაონ უბედურ შემთხვევის დროს, როცა საქონელს რამე უბედურება მოელის, ხოლო სანოვაგით სავაჭრო დუქნებში კი მაშინ, როცა ამას მოითხოვს საჭიროება, რომ საქონელი არ გაფუჭდეს. დანარჩენ შემთხვევაში ზედმეტი მუშაობა დამოკიდებულია ხაზეინებსა და მოსამსახურეების ურთიერთ შეთანხმებაზე. 4) იმ სავაჭრო დაწესებულებებში, რომლებიც გაღებულია 8 საათზე მეტი, მოსამსახურეებს სადილისთვის ეძლევა ორი საათის დასვენება დღეში, დანარჩენ სავაჭროებში არა ნაკლებ ნახევარი საათისა. 5) აკრძალულია ვაჭრობა კვირა და 12 საუფლო დღეებში, ისეთ ადგილებში კი, სადაც სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი ცხოვრობს, შეიძლება სხვა დღეებშიც განისაზღვროს. ვაჭრობა არ უნდა იწყებოდეს დღის 12 საათზე ადრე, ხოლო აღდგომას და შობას და სული წმიდის მოფენის დღეს სრულიად აკრძალულია. 6) მეხუთე მუხლის დადგენილება არ ვრცელდება ისეთ სავაჭროებზე, სადაც საქონელს რამე უბედურება ელის, ბაზარზე, სამკითხველოზე, გამოფენაზე, აგრეთვე დატარებით წიგნების ყიდვაზე, თამბაქოს ვაჭრობაზე, სანოვაგით და სოფლების სავაჭროებზე; ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სავაჭროებში შესაძლებელია ვაჭრობა კვირა უქმე დღეებში, რაც მხოლოდ ხუთი საათი უნდა გრძელდებოდეს. ხოლო შობის, აღდგომის და სულიწმინდის მოფენის პირველ დღეს სრულიად არ უნდა წარმოებდეს ვაჭრობა. 7) ეს დადგენილებები არ ეხება სასტუმროებს, ღამის გასათევ სახლებს, გარდა მაგარ სასმელებისა (?). სასტუმროების ბუფეტები ღია უნდა იყოს არა უმეტეს 15 საათისა დღე და ღამეში. 8) ორივე სქესის ის მოსამსახურეები, რომლებიც 17 წლისა ნაკლები არიან, სადილის დროს დასვენების გარდა დღე და ღამეში სამი საათი უნდა იყვნენ თავისუფალი, რომ სკოლებში იარონ; მათ მოვალეობას ასრულებენ თვით იმ სავაჭროების პატრონები, სადაც ვაჭრობა 8 საათზე ნაკლებ არ გრძელდება. 9) ვაჭრობის დროს გაგრძელების და დროს შემოკლების და პირობების განსაზღვრის შესახებ ქალაქის და საერობო დაწესებულებებს და სადაც ასეთი არ არის—გუბერნატორებს ნება ეძლევათ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებები. 10) სავალდებულო დადგენილებათა შესამუშავებლათ სდგება კომისია, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ საერობო და ქალაქის დაწესებულებების და ვაჭრების და მოსამსახურეების წარმომადგენლებმა, თვითეულ ჯგუფს თანასწორი წარმომადგენელი ყავს. 11) წესიერების დაცვის ყურის გდება ევალება საერობო, ქალაქის დაწესებულებებს და პოლიციას. 12) წესიერების დარღვევის საქმე ექვემდებარება მომრიგებელ მოსამართლეს და იმ ადგილებში, სადაც საერობო უფროსებია—საოლქო სასამართლოს სამაზრო წევრებს. 13) ამ წესების მოქმედება არ ვრცელდება აფთიაქებზე. სასჯელთა დებულებას ემატება შემდეგი მუხლები: 1. ის მოვაჭრეები, რომლებიც დაარღვევენ ზემოაღნიშნულ წესს დატუსაღებულ იქნება ერთი თვით ან ასი მანეთი ჯარიმა გადახდება. 2. ის მოვაჭრე, რომელიც, 17 წლის ნაკლებ მოსამსახურეებს ნებას არ მისცემენ სკოლებში სიარულისას დაჯარიმებულ იქნებიან ასი მანეთით.

17 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** თავად-აზნაურთა საზოგადოებების წარმომადგენლების არაჩვეულებრივ სიეზდზე სამი დღის კამათის შემდეგ საარჩევნო კანონების შეცვლის შესახებ მიიღეს შემდეგი წინადადება: შემოღებულ იქნას წოდებრივ-ჯგუფებრივი არჩევნები ე. ი. არჩევნები წოდებრივი, სადაც ეს მოწყობილია და ჯგუფებრივი ანუ მიღებულ იქნას აქტიური და პასსიური უფლებების განსაზღვრა დღევანდელ საარჩევნო კამპანიაში. მაზრებში არჩევნების დროს გამოიყოს კერძო ჯგუფათ წვრილი მიწათმფლობელები, ხოლო საგუბერნიო არჩევნებში გლეხები, უფლებრივ გათანასწორებული იქნეს მცხოვრებთა სხვა ჯგუფებთან, არჩევნები უნდა მოხდეს ოთხ ჯგუფათ (გლეხების, მსხვილი მემამულეების, წვრილი მემამულეების და ქალაქის წარმომადგენლებისა, უკეთუ თავისუფალი ადგილი დარჩება ჯგუფების არჩევნების შემდეგ, ამ ადგილებზე ამომრჩეველთა საერთო კრებამ უნდა აირჩიოს დეპუტატები.—გაზეთ „ტავარიშჩ“-ში მოთავსებულია ცნობა, თითქო უმაღლეს წრეებში ფიქრობდენ საერობო დამფასებელ სტატისტიკურ ბიუროების გაუქმებას და ამას მომავალ დუმის არჩევნებთან აქვს დამოკიდებულებაო. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია, ასეთი კითხვა არასოდეს არ აღძრულა.—ტყუილია აგრეთვე ის ცნობები, თითქო მთავრობა ფიქრობდეს მომავალ არჩევნების დროს გარდა მონარქიულ პარტიებისა, არც ერთ პარტიას არ მიეცეს ნება თავისუფლათ მოქმედების.

**ყაზანი.** რიბნორიადის ქუჩაზე აგიტატორმა შეუყარა ბრბოს თავი და წარმოსთქვა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა; ბრბო დიდხანს უსმენდა მას, შემდეგ უცბათ მივარდენ და ცემა დაუწყეს. რის ვაი-ვაგლახით პოლიციამ ხელიდან გააგდებინა ბრბოს აგიტატორი და დაატუსაღა.

**ბერლინი.** კარხნის აფეთქების გამო ზარალი ორ მილიონ მარკას უდრის.

**პეტერბურგი.** სამხედრო ბეგრის დებულება ჩქარა შევსებულ იქნება ახალი წესებით, რომ თანახმათ 169 მუხლის მოქმედება გავრცელებულ იქნება იმ პირებზეც, რომლებსაც სახელმწიფო დანაშაულობაში სდებენ ბრალს. ის პირები, რომლებიც პოლიციის მხედველობაში იყვნენ მიცემული, და სალდათობა უწევთ, სამსახურში მიიღებიან მხოლოდ იმ დროს შემდეგ, როცა აღნიშნულ ვადას გაათავებენ.

**მოსკოვი.** გუშინ მოსკოვის სასამართლო პალატამ პოლიციელ მოწმეებს გამოკითხა შეიარაღებულ აჯანყების საქმის შესახებ. რადგან მოწმეთა რიცხვი დიდია, ისინი ჯგუფებათ დაყვეს, თითო ჯგუფში 30 კაცი. ყველა ჯგუფებიჩგან განსაზღვრულ დღეს უნდა გამოცხადდეს.

**ლინჩბური.** (ვირგინიის შტატი) სკლის ლოურსსერსკის რკინის გზაზე მატარებლები დაეჯახა ერთმანეთს, ვაგონებს ცეცხლი გაუჩნდა; მოკლულია ხუთი, მათ რიცხვში გზის დირექტორი სპენსერი.

**ბრიანსკი.** რადგან ყუმბარების საწყობი აღმოაჩინეს, ძლიერ გახშირდა ჩხრეკა, დატუსაღება. დიატკოვის ფაბრიკაში აფეთქება მოხდა. არიან დაშავებულნი, ფაბრიკა ცეცხლის ალშია.

**მადრიდი.** მეფემ დაამტკიცა ახალი კაბინეტი: მინისტრ-პრეზიდენტი მორეტი; საგარეო საქმეთა—პერეტცა კაბალერო; შინაგან საქმეთა ბარროზო, ფინანსთა—დელგადო; საზოგადო სამუშაოთა (?); სამხედრო ლუკვე; საზღვაო ა ლბა; იუსტიციის რომანონესი; განათლების მინისტრის ადგილი თავისუფალია.

**ზასლავლი** (ვოლინის გუბერნია). სოფელ კამენკაში ვიღაც უცნობმა მგზავრის სახელით სთხოვა გლეხ-მეწაღეს ღამის გათევა. ღამით მან ცულით ხუთი სულისაგან შემდგარი ოჯახი აკაფა, მოიტაცა წყვილი ძველი წაღები და გაიქცა.

**რიბინსკი.** დაარსდა მშვიდობიან განახლების პარტიის განყოფილება.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით განიხილა ანარქისტ-კომუნისტების მარგოლინის—17 წლის, სპერანსკის—20 წლ., სოკოლოვის—23 წლ. და ტერ-ოგანეზოვის საქმე. პალატამ დამნაშავეთ იცნო ყველანი და 10 წლის კატორღა მიუსაჯა.—17 ნოემბრის კრებაზე განიხილეს სასულიერო კონსისტორიის რეორგანიზაციის საკითხი, დაადგინეს კონსისტორია საეპარქიო სამართველოებათ გადააკეთონ. ამ სამმართველოს მოსამსახურეთა ნაწილს სამღვდელოება ირჩევს საეპარქიო სიეზდზე და ნაწილს თვით ეპისკოპოსები ნიშნავენ, ერის კაცთა მონაწილეობა უარყვეს.

**ბერლინი.** ვიტტენში მოკლულია 30, მძიმეთ დაჭრილი 150 და მსუბუქათ 180 კაცი.

**შენკურსკი.** მოვიდა ვიცე-გუბერნატორი და მოსთხოვა ხალხს შეიტანონ გადასახადი, თავი დაანებონ ტყეების გაჩეხას და შეუშვან დარაჯები საუფლისწულო მამულებში. ნიკოლსკის საზოგადოებაში დაბინავდა ერთი როტა ჯარი. სოფლის ყრილობებზე გლეხებმა დაადგინეს დაემორჩილონ მთავრობას. აგიტატორებს იჭერენ.

**პროსკუროვი.** დღისით ბანკირ პარხარადის თავს დაესხა ოთხი ანარქისტი და ფულები მოსთხოვეს. ხმაურობაზე გაჩნდა პოლიცია. ერთი ანარქისტი გოროდოვოიმ მოკლა, დანარჩენები გაიქცენ.

**ვარშავა.** სიკვდილით დასაჯეს შპიტალნიკი, პოზნერი, სტრახოვიჩი და კონკოვსკი ბოქაულის თანაშემწის კოვალსკის მოკვლისთვის.

**პეტერბურგი.** 17 ნოემბერს გაიხსნა მიწების მესაკუთრეთა სრულიად რუსეთის კავშირის დამაარსებელთა სიეზდი, სულ 80 დელეგატი დაესწრო. თავმჯდომარეობს თავადი აბამელიქ-ლაზარევი. შესდგა კომისია ყველა საზოგადოებების ერთ კავშირათ გადასაკეთებლათ.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტის ცენტრალურ ორგანოში მოხდა არჩევნები: ს.-დემოკრატებმა მისცეს 2044 ხმა, ს.-რევოლიუციონერებმა—1258, დამოუკიდებლებმა—263, ტრუდოვიკებმა—304, კადეტებმა—1462, პოლშელებმა—121, სიონისტებმა—35. ორგანოში უუთო აირჩიეს 12 სოციალ-დემოკრატს, 9 კადეტს, 7 ს.-რევოლიუციონერს, 2 ტრუდოვიკს, 1 დამოუკიდებელს და 1 პოლონელს. ღამით გაჩხრიკეს საგუბერნიო საერობო სამართველო. იპოვნეს რვა ვინტოვკა, 12 ხიშტი და აუარებელი არალეგალური ლიტერატურა. არავინ დაუპერიათ. შეიარაღებულ აჯანყების შესახებ მოწმეებს გამოკითხეს.

**განჯა.** ღამით ერთ სახლში აღმოაჩინეს 20 ყუმბარა. დაიჭირეს ხუთი კაცი.

**სტაროკონსტანტინოვსკი.** პოლიციამ დაატყვევა პარახოდის საზოგადოების აგენტი, რომელსაც სწამებენ გაქცეულების საზღვარ-გარეთ გადაყვანას. უცნაურ კვირის განმავლობაში რვა ახლათ გაწვეული ჯარის კაცი გაიქცა ამერიკაში.

**ბელფორი.** მეთოთხმეტე კუსარის პოლკის პოლკოვნიკმა დელესტამ, რადგან პოლკმა მონაწილეობა მიიღო საეკლესიო მამულების აღწერაში, სამსახურიდან გადადგა.

**პეტერბურგი.** უმაღლესათ ნაბრძანებია ფინლანდიის ხაზინა განთავისუფლებულ იქნეს ჟანდარმთა მართველობისთვის საჭირო ხარჯებისაგან. ფინლანდიის ხაზინა ხარჯს გასწევს მხოლოდ რკინის გზის სადგურების ჟანდარმთა შესანახათ. გათავდა ანგარიში ამ რიგის ხმოსანთა არჩევნების ბიულეტენებისა, 4827 ამომრჩევლებიდან გამოცხადდა 1033 კაცი. სავსებით გაიდა სია ძველი დუმის კონსერვატიული პარტიის. გაშავებულ პროგრესისტთა შორის არის აკადემიკოსი არსენიევი, 6 ივლისის დეპუტაციის მონაწილე ფედოროვი, ყოფილი დეპუტატი კუზმინ-კარავაევი.

**მინსკი.** შეკითხვაზე, აქვთ თუ არა ჩინოვნიკებს უფლება 17 ოქტომბრის კავშირის წევრებათ იქნენ, სტოლიპინის ბრძანებით პასუხი მოვიდა, რომ ჩინოვნიკებს არ ეკრძალებათ ლეგალურ პარტიებში ყოფნა და ნება აქვთ 17 ოქტომბრის კავშირში მონაწილეობისა.

**ყაზანი.** სოფელ სუმიონოვში, სვიიდის მაზრაში ახალგაზრდობამ აგიტატორების გავლენით დაარწმუნა ხალხი, რომ სათადარიგო მაღაზიიდან ხორბალი გაეტანა. ორ მოსულ სტრაჟნიკს იარაღი აჰყარა ბრბომ. მეორე დღეს გამოცხადდა ისპრავნიკი და საერობო უფროსი 50 სტრაჟნიკით. მათმა ჩაგონებამ არ გაჭრა, სტრაჟნიკებმა ხალხს თოფები დაახალეს. ბევრი დაიჭრა. არიან მოკლულებიც.

**რიაზანსკი.** ჯერ კიდევ ცეცხლი უკიდია დიატკოვსკის სარკის ფაბრიკას, მალცევის სააქციონერო საზოგადოებისა. ცეცხლით დაშავდა სამი ახალგაზრდა ქალი და ერთი კაცი.

**პეტერბურგი.** ოფიციალურათ. რადგან ცნობებია, რომ სავაჭრო ფირმა ლიდვალმა, რომელმაც თავს იდვა ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის გასვლამდე შეეტანა დამშეულ გუბერნიებში 10 მილიონი ფუთი ჭვავი: ყაზანში ფუთი 85 კ.; პენზაში 80 კ.; სამარაში 83 კ.; სარატოვში 80 კ. სიმბირში 83 კ. და ტულაში 75 კ. მაგრამ დროზე ვერ შეასრულა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ საჭიროთ დაინახა მიექცია ყურადღება ამ საქმისთვის. 17 ნოემბრის სხდომაზე მინისტრთა საბჭოს მოახსენეს, რომ ფირმამ გაგზავნა სადგურებზე დატვირთა 500 ვაგონი. ეს გარემოება გვაწვს ბადებს, რომ, ფირმამ, რომელმაც საერობო განყოფილებიდან ავანსათ რვაასი ათასი მანეთი მიიღო, წესიერათ შეასრულებს საქმეს, რადგან იმ ადგილებში, სადაც პურს ყიდულობს პურის ფასმა 60-70 კაპეიკამდე ა-წია. ამის გამო საბჭომ დაადგინა სასტიკი გამოძიება მოახდინოს ამ საქმის შესახებ და შემდეგ გამოაქვეყნოს. ამასთანავე საბჭოს აზრით გამოძიება უნდა მიანდოს ისეთ პირს, რომელსაც დამსახურებული აქვს ხელმწიფე იმპერატორის ნდობა და სამინისტროში არ შედის. გარდა ამისა სამინისტრომ საჭიროთ სცნო მიიღოს ზომები დროზე მიაწოდონ პური, დამშეულ გუბერნიებს. ჯერ ჯერობით 1907 წლის პირველ ნახევარში საჭიროა 33 მილიონი ოთხას ერთი ათასი ფუთი პური. მაშასადამე, აღნიშნულ დრომდი უნდა მიიტანონ დანიშნულ ადგილას ხუთ ნახევარ (?) მილიონი ფუთი პური, რომლიდანაც ორ მილიონამდე უკვე გზაშია.

**პეტერბურგი.** (ოფიციალურათ.) მინისტრთა საბჭოს დადგენილება პოლიტიკურ პარტიებში, კავშირებში და საზოგადოებებში მონაწილეობის მიღებაზე იმ პირთა შესახებ, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში არიან, ზოგიერთ ადგილებში, როგორც ეს მოსულ ცნობებიდან ჩანს, სულ სხვაფერ გაიგეს და გამოიყენეს. მინისტრთა საბჭომ არ განმარტა თავისი დადგენილება: სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთ ეკრძალებათ იმ პოლიტიკურ პარტიებში, კავშირებში და საზოგადოებებში მონაწილეობის მიღება, რომლების მიზანია მთავრობასთან ბრძოლა; ზოგიერთ დაწესებულებების უფროსებმა, უფრო ფართო ხასიათი მისცეს ამ დადგენილებას და წინადადება მისცეს მათ ხელქვეით მოსამსახურეებს არავითარ პოლიტიკურ პარტიაში არ მიიღონ მონაწილეობა, მიუხედავათ იმისა თუ რა მიზანი აქვს ამა თუ იმ პარტიას. მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ასეთი ახსნა, რომელიც სრულიად უსამართლოა, რადგან ის ხელს უშლის მოსამსახურეებს ისარგებლონ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით, ამიტომ გაუქმებულ უნდა იქნას ყოველივე განკარგულება ამ დადგენილების შესახებ. თანახმათ მინისტრთა საბჭოს 14 სექტემბრის ცირკულიარისა, სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეებს ეკრძალებათ მიიღონ მონაწილეობა ისეთ პოლიტიკურ პარტიებში, რომლებიც ნამდვილ რევოლიუციონურ და ან თუმცა აშკარათ არ აღიარებენ რევოლიუციონერობას, მაგრამ თავიანთ წინამძღვრების მოწოდებებში (როგორც მაგალითათ ვიბორგის მოწოდება) და სხვა მოქმედებით აშკარათ სჩანს მათი მისწრაფება ებრძოლონ მთავრობას და მოუწოდებენ მცხოვრებლებს საბრძოლველათ. რაც შეეხება აღნიშნულ ცირკულიარში მოხსენებულ სხვადასხვა დაწესებულებების უფროსების შესახებ, რომ მათ ეკრძალებათ მიიღონ სხვადასხვა პარტიების ხელმძღვანელ ორგანოებში მონაწილეობა, ამით პირველათ არ ეკრძალება მათ იმ პარტიებში მონაწილეობის მიღება, რომლებშიაც საზოგადოთ ყველა თანამდებობის პირთ აქვთ ნება, მხოლოდ უფლება აქვთ აღნიშნულ დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეებსაც ხელმძღვანელობა გაუწიონ აღნიშნულ პარტიებს.

**პეტერბურგი.** ოფიციალურათ. 17 ნოემბერს გამოცხადებული უმაღლესი უკაზი მისცეს საგლეხო ბანკმა გლეხებს სესხი სანადელო მიწების დაგირავებით შემდეგია: საგლეხო ბანკი აძლევს სესხს იმ სოფლის საზოგადოებებს და სოფლებს, რომლებსაც განსაკუთრებული სანადელო მიწები აქვთ, კერძო პირებს, რომლებსაც თვისი საკუთარი ეზო აქვს, გლეხთა ამხანაგობებს, რომლებიც შესდგა სანადელო მიწების შესაძენათ და სხ. გირაოთ უნდა მიეცეს სანადელო მიწები. იმ სესხის მიცემა, რომელიც უდრის 3000 მანათს, ბანკის საბჭომ უნდა გადაწყვიტოს. ამ წესების მოქმედება ვრცელდება იმპერიის ცალკე ნაწილებზე, შინაგან და ფინანსთა და მიწათ მოქმედების მინისტრების შეთანხმებით.

**ვენა.** რეიხსრატმა მიიღო კომისიის წინადადება მიეცეს ბოჰემიას 75 ადგილი, ნემცებს და ჩეხებს—55; პალატამ უარყო ჩეხიის აგრარიის ზაზვორკას შესწორება, რომლითაც მან მოითხოვა ჩეხების თემის ნემცების ოლქიდან გამოყოფა. ამან დიდი ხმაურობა გამოიწვია. ჩეხ-რადიკალები მისცვივდნენ პრეზიდენტის ტრიბუნას და ქაღალდები გაფანტეს იატაკზე. პრეზიდენტმა კრება შესწყვიტა. ჩეხები ლოხვანი და ალბერტი წაიჩხუბენ, ისინი გააშველეს. კრების განახლების შემდეგ პრეზიდენტმა უკმაყოფილება გამოაცხადა. ჩეხებმა პროტესტი განაცხადეს. კრება უინციდენტოთ გაგრძელდა.

რედაქ.-გამომცემელი ი. ოტიაშვილი.


# განცხადებანი

**Книжный магазинъ „ОБРАЗОВАНІЕ“**

Михаиловскій пр. № 78.

| | |
|---|---|
| Марксъ. Капиталъ т. I . . . | 2 р. 50 к. |
| „ Положеніе раб. класса въ главнѣйшихъ государствахъ, томъ I . . . | 1 „ — „ |
| „ За десять лѣтъ практики | — „ 50 „ |
| Авенаріусъ: Критика чистаго опыта | — „ 60 „ |
| В. Базаровъ. Трудъ производительный и трудъ образующій цѣнность . . . | — „ 40 „ |
| Череванинъ. Валентиновъ. Клименти. Крестьянство и соціалдемократія . . . . | — „ 25 „ |
| И. Аксельродъ. Русскія революціонныя партіи съ 1898 г. по 1903 г. . . . | — „ 20 „ |
| Кропоткинъ. Парижская коммуна. | — „ 20 „ |
| К. Каутскій. Революціонныя перспективы . . . . | — „ 20 „ |
| Лафаргъ. Американскіе тресты . | — „ 20 „ |
| Г. Дицгенъ. Религія соц.-дем-тіи | — „ 12 „ |
| Богдановъ. Краткій курсъ экономической науки . . | — „ 60 „ |
| Дицгенъ. Завоеваніе философіи . | 1 „ — „ |

**Лекціи и рефераты по вопросамъ программы и тактики соціалдемократіи.**

| | |
|---|---|
| Голубковъ. Утопическій и научный соціализмъ . . . . | — „ 10 „ |
| М. М. Буржуазія и пролетаріатъ въ революц. 1830 года 1840 г. во франціи . | — „ 20 „ |
| Н. Рожковъ. Аграрный вопросъ въ Россіи . . . | — „ 12 „ |
| „ Капитализмъ и соціализмъ | — „ 10 „ |
| (А. Вольскій) Теорія и практика анархизма . . . . | — „ 20 „ |

**Цѣлая серія:**

На темы жизни въ брошюрахъ отъ 5 к. до 15 коп. около въ 40 выпускахъ.

Наше дѣло №№ 2, 3, 4, 5, 6, и др. новости.


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ თფილისი, მიხეილის ქუჩ., № 65.